# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 აპრილი, 2009 წელი.

№ 65 (6166)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## დღეს ხარებაა, გილოცავთ!



### საქართველო გაბრწყინდება

ღვთის ნებაა რასაც ვამბობ,
– არც მოყვრის და არც მტრის ნება,
მიწავ, ენდე ღმერთის ამბორს,
საქართველო გაბრწყინდება.

თუმცა წამის ბედი მჩაგრავს,
მე სიცოცხლე არ მწყინდება,
დამიჯერეთ, გვიან, მაგრამ
საქართველო გაბრწყინდება.

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**
2009 წლის 6 აპრილი

## საგანგებო მდგომარეობა ქართველმა ერმა უნდა გამოაცხადოს და არა ხელისუფლებამ! 4

## ქართველები რუსებისა და 10 სააკაშვილის წინააღმდეგ

## ძალის გამოყენება სახელმწიფო დანაშაულია 2



## ხელისუფლებამ სტატისტიკა ჩოხასავით მოირგო 6

## გინდ „აი ის“ ყოფილა და – გინდ „აი მე?!“ 5

# „სამშობლოს“ არვის დავუთმობთ!..








„დაგვიბრუნეთ სამშობლო“!, „ნუ ყიდით ჟურნალისტთა ქონებას!“, სწორედ ამ ლოზუნგებით გუშინ გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ საინფორმაციო მიტინგი გაიმართა. ამ ნაუცბათევად გამართული აქციის მიზეზი გახლდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შაბათ საღამოს გამომცემლობის შენობაში დემონტაჟი ჩაუტარდა უნიკალურ პოლიგრაფიულ დანადგარს „ORIGINAL HEIDELBERG“-ს, რომლის ღირებულებაც ათი ათასობით დოლარს შეადგენს და იგი სიმბოლურად – 8 ათას ლარად უნდა გაეყიდათ. ჟურნალისტების ბონდო ქურდაძისა და გიგლა გობეჩიას ჩარევით დანადგარი შენობაში დარჩა.

„ჩვენ, ჟურნალისტებს ამ გაძარცულ შენობაშიც არ გვაბრუნებენ, ახლა კი ჩვენი ქონების გაყიდვაც დაიწყეს“, – განაცხადა მიტინგის ორგანიზატორმა, გაზეთ „შანსის“ რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ.

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ცნობილი ჟურნალისტები გურამ გოგიაშვილი, გიგლა გობეჩია, არჩილ გოგელია, ვალერი კვარაცხელია, დავით მხეიძე და სხვები გულისტკივილით საუბრობდნენ ამ შემზარავი ფაქტისა და ჟურნალისტებისთვის „სამშობლოს“ შენობის დაბრუნებაზე.

ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ამგვარი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს, სანამ გამომცემლობა „სამშობლოს“ არ დააბრუნებენ.

**მამუკა ვაშაკიძე,**
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ინფორმაცია

## ბარაკ ობამა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს. როგორც ჩეხური მედია იუწყება, ამის შესახებ ობამამ პრაღაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

შეერთებული შტატები გადაჭრით ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აპირებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას, — განაცხადა ბარაკ ობამამ.

ამავე გამოსვლაში მან მხარი დაუჭირა ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაციას. ჩეხეთის შემდეგ ობამა თურქეთში გაემგზავრა.

## ემუქრებიან ოპოზიციის მხარდამჭერებს

**ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ, 9 აპრილს, თბილისში, საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით დაგეგმილ აქციას რეგიონებიდან მოსახლეობა რომ არ შეუერთდეს, მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი სამსახურები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან.**

რაიონებში, გამგებლებმა, საკრებულოს თავმჯდომარეებმა და პოლიციის უფროსებმა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სამსახურების ხელმძღვანელებს მოსთხოვეს, უზრუნველყონ, რომ საპროტესტო აქციაზე არც ერთი თანამშრომელი და არც მისი ოჯახის წევრი არ წავიდეს. გარდა ამისა, რამდენიმე დღეა სოფლებში პოლიციელთა ჯგუფები დადიან და იმ ოჯახებს, რომლებსაც ოპოზიციის მხარდამჭერებად მოიაზრებენ, ემუქრებიან, რომ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში მათ შვილებს და ახლობლებს დაიჭერენ.

საგულისხმოა, რომ რეგიონებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების სტუმრობას და მოსახლეობასთან ყველა შეხვედრას მუნიციპალიტეტების გამგეობების პრესსამსახურების წარმომადგენლები ვიდეოკამერით აღბეჭდავენ. ოპერატორები განსაკუთრებული დაკვირვებით შეხვედრის მონაწილეებს იღებენ. გარდა ამისა, ხელისუფლების ოპონენტი პოლიტიკოსების შეხვედრებს აკონტროლებენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებიც.

## ვინ გადაეშვება პოლიტიკურ სამარეში?

**9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის წარმომადგენლები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციამდე არ მიუშვეს.**

პოლიციელებმა ავლაბრის რეზიდენციამდე მისასვლელი გზა ჩაკეტეს. აქციის მონაწილეები პოლიციელებისგან ითხოვდნენ განმარტებებს, თუ რატომ არ ეძლევათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება და პრეზიდენტის რეზიდენციამდე მისვლა, სადაც სამოქალაქო პროტესტის გამოხატვას აპირებდნენ.

აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დაჩი ცაგურიამ განაცხადა, რომ თვითმარქვია პრეზიდენტს ბოლო შეხვედრა აქვს უმრავლესობასთან. პოლიციის თანამშრომლებს მან მოუწოდა, ნუ შეასრულებენ მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების დავალებებს, ვინაიდან მათ პრეზიდენტთან ერთად პოლიტიკურ სამარეში გადაშვება მოუწევთ.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

მოგვისმინეთ!

# საპროტესტო აზრის წინააღმდეგ ძალის გამოყენება სახელმწიფო დანაშაულია

## მ ი მ ა რ თ ვ ა

### ქართული არმიის ოფიცრების, სერჟანტებისა და ჯარისკაცებისადმი პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლებისადმი

ჩვენი სამშობლოსთვის ამ მძიმე დროს, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უნიათო პოლიტიკის წყალობით ოკუპირებულია ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, როდესაც შელახულია ჩვენი სახელმწიფოს ღირსება და ავტორიტეტი მსოფლიოს წინაშე, როდესაც ქვეყანას სრული სახელმწიფოებრივი კრახისა და დანაწევრების საშიშროება ემუქრება, მოგმართავთ თქვენ, ჩვენს ძმებსა და შვილებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს.

ჩვენ ყველას, ამ მიწის შვილებს, ერთი ოცნება გვაქვს — ვიცხოვროთ საიმედოდ დაცულ, ბედნიერ და ზნეკეთილ საქართველოში, სადაც ყველას თანაბრად შეეძლება პატიოსანი შრომით ოჯახის რჩენა, სადაც ყველა თანასწორი იქნება კანონის წინაშე და სადაც ადამიანის ღირსება და თავისუფლება ხელშეუვალი ფასეულობა გახდება როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების თითოეული წევრისათვის.



დღეს ჩვენს საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ძირეული პოლიტიკური ცვლილების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის გამოყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან. მხოლოდ მშვიდობიანი, კონსტიტუციური ცვლილება და ღირსეული, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მოსვლა დაუბრუნებს საქართველოს ეროვნულ თანხმობასა და აგვისტოს ომის შემდეგ დაკარგულ საერთაშორისო ნდობას, რის გარეშეც ჩვენ ვერ შევძლებთ საგარეო საფრთხეების აცილებასა და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობის გადარჩენას.

დღეს ასეულ ათასობით თქვენი თანამემამულე ხმას იმაღლებს უსამართლობის, ძალადობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ. ეს სამართლიანი ბრძოლაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს ღმერთისაგან აქვს ბოძებული უფლება ისწრაფოდეს სამართლიანობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, სახელმწიფო კი ვალდებულია დაეხმაროს საკუთარ მოქალაქეებს ამ სწრაფვაში.

არავის, არც ცალკეულ მოქალაქეს, არც რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს და არც ხელისუფლებას არა აქვს უფლება, ფიზიკური ძალა გამოიყენოს დაუცველი, მშვიდობიანი ადამიანების წინააღმდეგ. თავისუფალ აზრს მხოლოდ აზრი უნდა დაუპირისპირდეს და არა ხელკეტი ან ტყვია. მშვიდობიანი და კანონიერი ფორმით გამოთქმული საპროტესტო აზრის წინააღმდეგ პოლიციისა და ჯარის გამოყენება კი სახელწიფო დანაშაულია!

ხალხის მიერ თქვენთვის მოცემული ძალა და უფლება უნდა გამოიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანასა და მის მოქალაქეებს, მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას უხეში ფიზიკური ძალა ემუქრება.

ჩვენ ყველას ერთი სამშობლო გვაქვს და არავის არა აქვს უფლება ჩვენს შორის უნდობლობა და სიძულვილი დათესოს, მტრის ხატი შექმნას, მოტყუებით გადაგვკიდოს ერთმანეთს და გახლიჩოს ერი. დღეს, როგორც არასდროს, სამშობლოს სჭირდება თქვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, გონიერება და მაღალი ზნეობა.

გვჯერა, რომ თქვენ არავის მისცემთ საშუალებას, ბრმა იარაღად გამოგიყენოთ თქვენივე თანამემამულეების წინააღმდეგ, ვინაიდან ყოველი მშვიდობიანი მოქალაქისათვის მოქნეული ხელკეტი ან ნასროლი ტყვია ჩვენი ერისა და სამშობლოს წარსულისა და მისი მომავლისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნება!

მაღალი ღმერთი გფარავდეთ თქვენ და მთელ საქართველოს!

„ქართული აკადემია“ – „ზნეობრივი ფრონტი“

SIC!

# „ლევან, ჩამოდი, თენგო ვარ!..“

**საზოგადოებრივი მოძრაობის „რატომ?“ წევრებმა გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ აქცია გამართეს.**

**აქციაში 50-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.**

აქციის მონაწილეებმა შესასვლელთან წარწერები გააკეთეს: „აქ იყო თენგო“, აგრეთვე, გააკრეს ე.წ. სტიკერები მიხეილ სააკაშვილის გამოსახულებით და ორგანიზაციის ემბლემით.

„ლევან, ჩამოდი, თენგო ვარ. პოლიტიკური ზეწოლა უნდა გავაკეთო შენზე“, - ამ შეძახილით ითხოვდა ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ზურაბ ქადაგიძე ტელეკომპანიის ხელმძღვანელთან შეხვედრას.

დაცვის თანამშრომლებსა და ორგანიზაციის წევრებს შორის ინციდენტიც მოხდა. დაცვის თანამშრომლები აქციის თანამშრომლებს არ აძლევდნენ საშუალებას, წარწერები გაეკეთებინათ შესასვლელთან. დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. დაცვის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეები ტელევიზიის შესასვლელიდან გზაზე ჩაიყვანეს.



აქციის მონაწილეები ტელევიზიის ხელმძღვანელობისგან 2009 წლის ბიუჯეტის თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ აპრილის შუა რიცხვებისათვის მოვლენ საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან.

აქციის მონაწილეებმა ისევ შეძლეს შენობის მისასვლელთან ასვლა.

საზოგადოებრივი მოძრაობის „რატომ?“ წევრებმა სცადეს შენობაში შესვლა, რასაც ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. შეხლა-შემოხლის შემდეგ ორგანიზაციის წევრებს შენობის შესასვლელის ტერიტორია ამჯერადაც დაატოვებინეს.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან პოლიციამ მოძრაობა „რატომ?“-ის რამდენიმე აქტივისტი დააკავა. დაკავებულები არიან მერაბ ჭიქაშვილი და ზაჩო ცომაია.

ბოლოს, მოძრაობის წევრებს ტელევიზიიდან გადასცეს 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რასაც აქციის მონაწილეები ითხოვდნენ.

აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის რამდენჯერმე ჩხუბიც მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

„ეროვნული ფორუმი“

# მომიტინგეთა უსაფრთხოებისთვის

**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნულ ფორუმთან“ ექიმთა სამოქალაქო კომიტეტი დაფუძნდა, რომელშიც გაერთიანებული ექიმები მიტინგებშიც მიიღებენ მონაწილეობას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიონ მომიტინგეებს.**

„ამ თვეების მანძილზე „ეროვნული ფორუმი“ ორგანიზაციებისა და კომიტეტების შექმნაზე მუშაობდა, ასევე შეიქმნა მედიკოსთა ჯგუფი, კომიტეტი, რომლის წევრებიც მსვლელობისას თავიანთ პროფესიულ და სამოქალაქო ვალსაც მოიხდიან“, — განაცხადა ეროვნული ფორუმის ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ.

ექიმთა სამოქალაქო კომიტეტში გაერთიანებულნი არიან როგორც „ეროვნული ფორუმის“ წევრები, ისე უპარტიოები. ამ დროისთვის კომიტეტში უკვე გაწევრებულია მედიცინის ასზე მეტი მუშაკი. პირველ ეტაპზე, ექიმთა სამოქალაქო კომიტეტის წევრები ორგანიზებულად მიიღებენ მონაწილეობას 9 აპრილს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში. ისინი კოორდინაციას გაუწევენ ექიმთა საპროტესტო მოძრაობას და, ამავე დროს, მიიღებენ მომიტინგეთა უსაფრთხოების დამატებით ზომებს.

„ექიმებს, რომლებიც მუდმივად იმორიგევებენ აქციაზე, ექნებათ ამოსაცნობი ნიშნები —



თეთრი ხალათები და სპეცჩანთები შესაბამისი პირველადი დახმარების საშუალებებით. ისინი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით უწყვეტ რეჟიმში იმუშავებენ, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევენ აქციის მონაწილეებს“, — განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ხელძღვანელმა მანანა ბერაძემ.

**ანა კვარაცხელია**

სიმართლე კი ასეთია

*პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ისტორიის შელამაზება და გაყალბება ახალი ხილი არ არის. ეს საძრახისი მოვლენა დასაბამს საუკუნეების სიღრმეში იღებს. ამჯერად, ჩვენ გვინდა შევეხოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის პოლიტიკური მიზნით გაყალბების მცდელობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შეფასებას მიეძღვნა ჩვენს მიერ „საქართველოს რესპუბლიკაში" ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული რამდენიმე ვრცელი წერილი, 2007 წელს გამოცემული წიგნი „ერთმორწმუნე რუსეთი. მითი და რეალობა," ასევე ჩვენი თანაავტორობით იმავე წელს გამოცემული ნაშრომი „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ." დღეს ყველა ობიექტურად მოაზროვნე ქართველმა იცის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა არც ერთ მხარეს სიკეთეს არ მოუტანს. ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მოგვარება არ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ხარჯზე — საქართველომ არ უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ბოლო ხანებში შეიმჩნევა ერთი მეტად საშიში ტენდენცია. მავანი და მავანი ესწრაფვის შეალამაზოს და გააყალბოს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორია. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარება ყოველთვის მოითხოვს გარკვეულ კომპრომისს, მაგრამ ისტორიის გაყალბება კომპრომისის პირობად არ უნდა იქცეს. არავის ძალუძს დამალოს სიმართლე. სიმართლე კი ასეთია:*

# კომპრომისი დაუშვებელია

**პირველი.** 1483 წლიდან ქართული სამეფო-სამთავროები გამუდმებით ცდილობდნენ რუსეთის დახმარებით ისლამური სამყაროს (ირანის, ოსმალეთისძ აგრესიისგან თავის დაცვას. დიდი ხნის განმავლობაში ქართველი მეფეები რუსეთისგან მხოლოდ დაპირებებს იღებდნენ, რეალური დახმარება კი არ ჩანდა. ქართველ მეფეთა პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანი და ოსმალეთი კიდევ უფრო სწრაფი ტემპითა და დიდი ძალებით ცდილობდნენ საქართველოს აღგვას პირისაგან მიწისა.

**მეორე.** 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება — გეორგიევსკის ტრაქტატი. ტრაქტატის ძალით რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფო უნდა დაეცვა ისლამური სამყაროს აგრესიისაგან. ერეკლე II რუსეთს სთავაზობდა მოკავშირეობას მახლობელ აღმოსავლეთში გეოსტრატეგიული გეგმების განხორციელების პროცესში. რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა და მის დასაპყრობად ემზადებოდა. სწორედ ამიტომ რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატი არ შეასრულა, ქართლ-კახეთის სამეფო არ დაიცვა, მფარველობაში მიღებული ქვეყანა მტრების საჯიჯგნად მიატოვა.

**მესამე.** რუსეთმა ისარგებლა ქართლ-კახეთის დასუსტებით, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, ხოლო 1802 წელს ქვეყანაში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა. ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა დანარჩენი საქართველოც დაიპყრო.

**მეოთხე.** ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ რუსეთმა 1811-1814 წლებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და შემდგომში მთელი სისასტიკით ახშობდა ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობას.



**მეხუთე.** 1801-1917 წლებში საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის კოლონიას. კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო ქართველი ერის ასიმილაცია, საქართველოს გადაქცევა რუსეთის განუყოფელ ნაწილად. ამ მიზნიდან გამომდინარე, რუსეთი სისხლში ახშობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ეს იყო საფასური, რომელიც ქართველმა ერმა ირანისა და ოსმალეთის აგრესიის აღკვეთის სანაცვლოდ გაიღო.

**მეექვსე.** XIX საუკუნის განმავლობაში (1804-1878 წწ.ძ რუსეთმა ექვსი ომი გადაიხადა ირანთან და ოსმალეთთან. ამ ომებში დამარცხებულმა ირანმა და ოსმალეთმა რუსეთს დაუთმეს ადრე მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი (ჭარ-ბელაქანი, აფხაზეთი, სამცხე-საათაბაგოს ნაწილი, აჭარა და სხვ.ძ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ომები ირანთან და ოსმალეთთან ქართული მიწებისათვის არ უწარმოებია. რუსეთს მახლობელ აღმოსავლეთში თავისი გეოსტრატეგიული გეგმა ჰქონდა, ეს გეგმა კი სამხრეთ კავკასიიდან ირანის და ოსმალეთის განდევნის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ოსმალეთთან ომებში მოპოვებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი 1918-1921 წლებში რუსეთმა ისევ ძველ მფლობელს დაუბრუნა, ანუ ქართველი ერის ნების გარეშე გაასხვისა.

**მეშვიდე.** 1918-1921 წლებში რუსეთმა ყოველი ღონე იხმარა, რათა არ დაეშვა დამოუკიდებელი ქვეყნის — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის — არსებობა და ბოლოს, 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაიპყრო კიდეც საქართველო.

ყოველივე ამის დავიწყება არ შეიძლება. ისევე როგორც არ შეიძლება იმისი დავიწყება, რომ ირანისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლით დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი. ეს პროცესი კი ვერ დაიწყებოდა, ქართველი ერი სამ იმპერიას ( ირანს, ოსმალეთსა და რუსეთსძ შორის რომ დარჩენილიყო გადანაწილებული. ვერ დაიწყებოდა ბევრი სხვა პროცესიც, რომელიც აუცილებლად ითხოვდა საქართველოს ერთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სივრცეში ყოფნას. არ შეიძლება იმისი დავიწყებაც, რომ რუსეთის განათლებისა და მეცნიერების ცენტრებში გასაქანი ჰპოვა ქართველთა ნიჭმა. პეტერბურგსა და მოსკოვში შეიქმნა დიდი ქართველოლოგიური სკოლები. ამ სკოლებში აღზრდილმა მეცნიერებმა შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასა და საერთოდ ქართული უმაღლესი სკოლის განვითარებაში. რუსეთში დაწყებულმა ევროპეიზაციის პროცესმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოზე.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა უნდა მოგვარდეს ისტორიის გაყალბების გარეშე. აქ კომპრომისი დაუშვებელია.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

მიმართვა

# საგანგებო მდგომარეობა ქართველმა ერმა უნდა გამოაცხადოს და არა ხელისუფლებამ!

## საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის მეთაურთა საყურადღებოდ

*ქალბატონებო და ბატონებო,*

*გაყალბების გზით ხელისუფლებაში მოსულმა ადამიანთა ჯგუფმა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთმა წარმომადგენელმა საქართველოში მოქმედ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო საზოგადოებას მოუწოდეს რათა დიალოგის რეჟიმში გადაიყვანონ ურთიერთობა სააკაშვილთან და მის გუნდთან. და ეს მაშინ, როდესაც 5 წლის მანძილზე სააკაშვილმა ხელყო კონსტიტუცია და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სტანდარტები, როდესაც:*

1) პროკურატურა გამოიყვანა სასამართლო სისტემიდან და თვითონ დაიქვემდებარა;

2) მოსამართლეთა დანიშვნის და გათავისუფლების ექსკლუზიური უფლება მიითვისა;

3) გააერთიანა უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები;

4) მიითვისა პარლამენტის დათხოვნის უფლება, ხოლო პარლამენტს შესაბამისად პრეზიდენტის საქმიანობაზე საკონტროლო მექანიზმი არ შეუქმნა;

5) შეაჩერა ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა რეგიონებში;

6) იურიდიული ძალის არმქონედ არ გამოაცხადა აფხაზეთში მცხოვრებ პირებზე რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები;

7) დსთ-დან გამოსვლაზე უარი განაცხადა, რითაც დაბლოკა მრავალეროვნული სამშვიდობო ძალებით რუსეთის მონონაციონალური ძალების ჩანაცვლება კონფლიქტურ ზონებში;

8) ატესტირებულ და აკრედიტებულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღო პირდაპირი საპრეზიდენტო და სამთავრობო მმართველობა და დასტური მისცა პროფესორ-მასწავლებლების დაარბევას;

9) უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების გამგებლობიდან გამოიყვანა ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, კავშირგაბმულობა, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები და აეროპორტები, აგრეთვე მიწის, წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების, და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი და კანონმდებლობა, და შესაბამისი ობიექტები გაყიდა;

10) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების და გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე განახორციელა მოქალაქეთა პირადი საკუთრების მასობრივი ჩამორთმევა და განადგურება;

11) ხელი არ შეუწყო უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეებს დასაქმებაში და პირიქით სამუშაოს მქონე მოქალაქენი უმუშევრად დატოვა;

12) ხელი არ შეუწყო თავისუფალი ეროვნული წარმოების და კონკურენციის განვითარებას;

13) ხელი არ შეუწყო მეცნიერების და კულტურის განვითარებას, ეროვნული თვითმყოფობის გამოვლინებასა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებში ქვეყნის მონაწილეობას;

15) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაარბია პარლამენტის კიბეებთან მყოფი მოშიმშილე მომიტინგეები, სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია



### როგოზინი გაბრაზებული კაცის ტონით საუბრობდა

**საქართველო სერიოზულად არ განიხილავს ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის განცხადებას, რომ საქართველომ გაცილებით უკან დაიხია ნატოში ინტეგრაციის გზაზე, ვიდრე 5-6 წლის წინათ იყო.**

**როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, ეს არის განაწყენებული ადამიანის განცხადება, რადგან არ გამართლდა დიმიტრი როგოზინის პროგნოზი იმის შესახებ, რომ ნატოს საიუბილეო სამიტი საერთოდ არ შეეხებოდა საქართველოს თემატიკას.**

**კაჭკაჭიშვილის თქმით, ნატოს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საქართველო და უკრაინა განაგრძობენ წარმატებულ წინსვლას ალიანსისკენ და თავად ნატოც ხელს შეუწყობს ამ სახელმწიფოებს დაუახლოვდნენ ნატოს სტანდარტებს.**

ინტერპრესნიუსი

◉ მიმართვა

(მესამე გვერდიდან)

16) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაარბია მომიტინგეები რიყეზე, სადაც ასევე არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;

17) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაარღვია მოქალაქეთა, მათ შორის მომიტინგეთა, პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის კონსტიტუციური უფლება;

18) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაარღვია ადამიანის კონსტიტუციური უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;

19) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაარღვია სატელევიზიო მაუწყებელთა კონსტიტუციური თავისუფლება და მათი ცენზურის დაუშვებლობა;

20) სააკაშვილმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცი, რომ **„დაიცავს საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, იზრუნებს საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ხალხის და მამულის აღორძინებისთვის“**, როდესაც ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით წამოიწყო ომი, სასიკვდილოდ გასწირა ქართველი მეომრები და ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობა, და კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერით რუსეთს დე იურედ გაუფორმა საქართველოს ტერიტორიის მესამედი.

სააკაშვილმა ხელყო რა კონსტიტუცია, სავარაუდოდ სისხლის სამართლის წესით დასჯადი რამდენიმე ქმედება ჩაიდინა. კერძოდ, სააკაშვილმა ჩაიდინა:

21) დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 153 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„სიტყვის თავისუფლების და ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონო ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“.**

22) დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან; და იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობის მუქარის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; და იგივე ქმედება ძალადობის გამოყენებით“.**

23) დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა ძალადობით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით; იგივე ქმედება, რასაც თან ახლდა იარაღის გამოყენება და რამაც მასობრივი არეულობა გამოიწვია“.**

24) დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით“.**

25) დანაშაულები გათვალისწინებული ჰააგის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუსის მეექვსე, მეშვიდე და მერვე მუხლებით, ანუ ჩაიდინა გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაული.

# საგანგებო მდგომარეობა ქართველმა ერმა უნდა გამოაცხადოს და არა ხელისუფლებამ!




ამრიგად, საქართველოში სააკაშვილმა ტირანული და მჩაგვრელი რეჟიმი დაამყარა, რის გამოც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის მესამე ნაწილის თანახმად, **„თუ ხელისუფლება არ იცავს ადამიანის უფლებებს, მაშინ ადამიანებს აქვთ უფლება, მიმართონ აჯანყებას როგორც უკიდურეს საშუალებას ტირანიის და ჩაგვრის წინააღმდეგ.“** ქართველი ხალხი დღეს შინაურმა „ეროვნებაგარეცხილმა“ მტრებმა ჩააყენეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რის გამო შეუიარაღებელი აჯანყების ფორმით მას უფლება აქვს განთავისუფლდეს ტირანული და მჩაგვრელი დანაშაულებრივი რეჟიმისგან. **ასეთ პირობებში, დიალოგი კრიმინალურ რეჟიმთან ნიშნავს სისხლის სამართლის წესით დასჯად თანამონაწილეობას დანაშაულთა დაფარვაში.**

იკვეთება თვითმარქვია ხელისუფლების მოქმედების სამი შესაძლო ვარიანტი: **1. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შეიარაღებული კონფლიქტის ინიცირებით შიდა ქართლში. 2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შეიარაღებული კონფლიქტის ინიცირებით თბილისში ანდა სხვა ქალაქებში. 3. ხალხის საპროტესტო მუხტის შემცირება და 7 ნოემბრის ანალოგიურად მომიტინგეთა დარბევა.**

ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მუხლი 4-ის თანახმად, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ მაშინ უნდა გამოცხადდეს, როცა ერის არსებობა საფრთხეშია“ (და არა ხელისუფლებისაძ. დღეს ქართველი ერის არსებობა მართლაც საფრთხეშია ტირანული რეჟიმის მეოხებით და ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ტერიტორიული მთლიანობის კატასტროფული რღვევის პირობებში. ამ ლოგიკით, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, **საგანგებო მდგომარეობა ქართველმა ერმა უნდა გამოაცხადოს** და არა ხელისუფლებამ. ამიტომ, ქართველმა ერმა უნდა შესძლოს მოსალოდნელი პროვოკაციების უგულებელყოფა-ნეიტრალიზება და მშვიდობიანი საპროტესტო მუხტის შენარჩუნება საზოგადოებაში.

და მაინც, არასასურველი სახალხო აჯანყების თავიდან ასაცილებლად, საქართველოში და კავკასიაში, საერთოდ ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებლად აუცილებელია:

**1. გადადგეს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან, დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის ორგანიზაციას და დაფინანსებას მოახდენს გაერო და ეუთო, და რასაც უზედამხედველებს საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები;**

**2. დემოკრატიულად არჩეულმა პრეზიდენტმა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომლის ორგანიზაციას და დაფინანსებას მოახდენს გაერო და ეუთო, და რასაც უზედამხედველებს საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები;**

**3. დემოკრატიულად არჩეულმა პარლამენტმა აღადგინოს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მოქმედი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოების კონტროლის ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმი შექმნას.**

**გთხოვთ მხარდაჭერას.**

**ბიძინა სავანელი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**

◉ ვაითუ!

# „რევოლუციით შობილნი“

## ხალხის ფაქტორი გვავიწყდება, ძვირფასებო, ხალხის ფაქტორი!

***მკითხველთა** უმრავლესობას, ალბათ, ახსოვს საბჭოთა პერიოდის მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილნი“, რომელიც რევოლუციის (ამ შემთხვევაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ მაქვს მხედველობაში) შემდეგ დაარსებულ საბჭოთა მილიციას ეძღვნებოდა და ყოველი წლის 10 ნოემბერს (მილიციის დღეს) ახალი სერია გამოდიოდა.*

*ამ წერილს არც მილიციასთან აქვს რაიმე კავშირი და, მით უმეტეს, არც იმ ფილმთან, მიუხედავად იმისა, რომ „კარაბინერებთან“ შედარებით, საკმაოდ კარგი სერიალი იყო.*

ისე, რა მაგის პასუხია და, უამრავი ფილმი არსებობს „დემოკრატიული რევოლუციებით ნაშობ“ ქვეყნებზე, ანუ „მესამე სამყაროში“ ჩამორჩენილობასა და უკულტურობასთან დემოკრატიისა და ცივილიზაციის ბრძოლაზე. ამ ფილმების სცენარები ქართული „დაჭმუჭნული ვაშლების“ ჩამნაცვლებელი „პლასტმასის ვაშლებივით“ ჰგვანან ერთმანეთს და მათსავით უგემურნი არიან, მაგრამ რამდენიმე საყურადღებო ნიუანსით ძალიან მაგონებენ „ცივილიზებულ მსოფლიოსთან ჩასახუტებლად“ გამზადებულ საქართველოს.

**1. ყველა ამ ფილმში არის დევნილთა ბანაკები (მაგრამ ქართული რეალობისგან განსხვავებით, იქ საკამოდ ნორმალურ დახმარებას ეწევიან „ცივილიზებული ქვეყნებიდან“ ჩამოსული მოხალისე ვოლონტიორები.**

**2. ყველა ამ ფილმში არის სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ხელს უშლის „დემოკრატიის განვითარებას“ და „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატებითაა შეიარაღებული (ესეც ნაცნობი „სიმღერაა“).**

**3. სახელისუფლებო წრეებში საკმაოდ „ჰყვავის“ კორუფცია (ამ შემთხვევაში ის ფილმები მაქვს მხედველობაში).**

**4. ზოგიერთი უცხოური მსხვილი კორპორაცია, მოსახლეობას თავისი „ბოროტი“ მიზნებისთვის იყენებს (საეჭვო შედეგების მქონე ახალი წამლის გამოცდა, სამხედრო ბაზის მშენებლობა, სასარგებლო წიაღისეულის უკანონო გატანა და ა. შ. ეს ძირითადად სცენარისტის გემოვნებაზეა დამოკიდებული და არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს). ქართულ რეალობაშიც საკმაოდ მრავალი „ექსპერიმენტი“ ტარდება და, ჩემი აზრით, მათი სერიოზული გამოძიებაა საჭირო („გამოძიება“ და არა „მონიტორინგი“), მაგრამ ეგეთი რაღაცები ხომ მხოლოდ ფილმებში ხდება.**

**5. ყოველთვის გამოჩნდება რომელიმე ჟურნალისტი გოგონა, რომელსაც შეუყვარდება პუნქტ №4-ში „დასაქმებული“ რომელიმე „წესიერი ნაძირალა“ და დიდი წვალების შემდეგ ფარდას ახდის იმ ყველაფერ ცუდს, რაც ხდება (მიუხედავად ჟურნალისტთა უზარმაზარი არმიისა და უამრავი მასალისა, ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, არც ერთი ასეთი ჟურნალისტი არ მოიძებნა).**

ჩემის აზრით, ასეთი ფილმების ჩვენება დღეს ნამდვილად არ შეიძლება.

არა, მე კი არაფერს ვიტყვი, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ, აი ისეთმა, ვისაც „სტრიქონებს შორის კითხვა“ შეუძლია (არადა რამდენი ასეთი მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში?ძ, ადგეს და თქვას, კაცო, ეს ნატოს და ევროკავშირის „კარებზე მოკაკუნე“, უცხოური ინვესტიციებით ავსებული და მზარდი ეკონომიკის მქონე საქართველო მესამე სამყაროს ქვეყანა არ ყოფილაო და ხელისუფლების მიმართ არსებული „არაჯანსაღი“ განწყობა კიდევ უფრო გაამწვავოს?

მოკლედ რომ ვთქვა: „არ ვიცი! ვიცი? ნამდვილად არ ვიცი!“.

ამ ჩვენი ტელევიზიების გადამკიდეს, კიდევ ბევრჯერ „დამიდგა“ თვალწინ ზემოთ ნახსენები იმ საბჭოთა ფილმის სათაური.

მაგალითად:

როდესაც საქართველოს მოსახლეობის „წინა რევოლუციური“ განწყობის „დასაშოშმინებლად“, ჩვენი ხელისუფლებისა და მისი „მეხოტბეების“ იმ გამოსვლებს ვუსმენდი, რომლებშიც „მხედრიონს“, „გვარდიას“ და მათ მიერ ჩამოგდებულ ეროვნულ მთავრობას ახსენებდნენ, მოულოდნელად გავიფიქრე: – „გუშინ“ რომ ეროვნული ხელისუფლება გვყოლოდა, ამათ დღეს სახელმწიფოს სათავეში ვინ მოიყვანდა-თქო, მაგრამ როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც გავჩუმდი.

არა, მე კი გავჩუმდი, მაგრამ ვინმემ რომ თქვას?

ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ესღა მაქვს სათქმელი: „არ ვიცი, ბატონო! ვიცი? ნამდვილად არ ვიცი!“.

იხ. 7 გვ.

პრობლემა

*ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს* ***სიმონ ჯანაშიას***

# გინდ „აი ია“ ყოფილა და – გინდ „აი მე?!“

## დილეტანტიზმი და არაკომპეტენტურობა დაღუპავს ქართულ სკოლას

**ბატონო სიმონ, ახლახან წავიკითხე თქვენი – დღევანდელი განათლების სისტემის ერთ-ერთი მესვეურის – ინტერვიუ გაზეთში „საქართველო XXI“ (30 მარტი – 5 აპრილი). სამწუხაროდ, თქვენი თანამდებობა კი გაძლევთ ამგვარი აზრების გამოთქმის საშუალებას, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენი კომპეტენცია ამ სფეროში საკმაოდ შეზღუდულია.**

დავიწყოთ იმით, რომ განათლების სამინისტროს თავკაცებისგან იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედაენის“ დაცვა მე და ჩემნაირებს კი არ უნდა გვიხდებოდეს. უპირველეს ყოვლისა, თავად სამინისტრო უნდა იყოს პატრონი „დედაენისა“ და მისი ავტორისა. იცით რატომ? „დედაენა“ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა იაკობმა. იურიდიულად შეიძლება არა, მაგრამ მორალურად ხომ უნდა იყოს განათლების სამინისტრო სამართალმემკვიდრე იმ საზოგადოებისა? ამაზეც ნუ ვიკამათებთ, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობას ვინ უპატრონოს?

თქვენ უარყოფთ იმას, რომ სიტყვა **დედაენა** იაკობ გოგებაშვილის შექმნილია; გაიკვირვეთ კიდეც: **„არა, რატომ. ის სხვა ენებსაც აქვთ“.**

სხვა ენებსაც რომ აქვს მსგავსი სტუქტურის სიტყვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იაკობმა უცხოურიდან აიღო. თქვენ არ ხართ კომპეტენტური ამ საკითხში და განგიმარტავთ: **იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლამდე (1876 წლამდე) არც ილიას, არც აკაკის და არც თავად იაკობის ნაწერებში სიტყვა დედაენა არ გვხვდება, მისი მნიშვნელობით გამოიყენებენ გამოთქმებს ქართული ენა, მშობლიური ენა, დედ-მამის ენა... 1876 წლიდან ფაქტობრივ მხოლოდ დედაენა იხმარება...**

თუ მოიცლით ილიას, აკაკის და იაკობის ნაწერების წასაკითხად, თქვენც დარწმუნდებით... მართალია, ამ სტრუქტურის სიტყვები სხვა ენასაც აქვს, მაგრამ მთავარი მაინც მისი მნიშვნელობაა: **დედაენა** შეიქმნა ისეთი ქართული სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა **დედაბოძი, დედააზრი, დედაქალაქი**; დიახ, **დედაენა** ნიშნავს მთავარ ენას (შდრ.; მთავარი აზრი, მთავარი ბოძი, მთავარი ქალაქი...ძ; ამით იაკობმა ქართველური ენობრივი სივრცის სწორი გააზრება მოახდინა...

**სიტყვა დედაენა შეიქმნა მიზნობრივად საანბანე წიგნისთვის და ისევეა იაკობის კუთვნილება, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ თუ „სიბრძნე სიცრუისა“ თავიანთი ავტორებისა.**

იმასაც შეგახსენებთ, რომ იაკობამდეც და შემდეგაც არაერთი საანბანე წიგნი შეიქმნა (ი.კერესელიძისა, ა.ნათაძისა, რ. ისარლიშვილისა, ლ. ჩომახიძისა, ა. ჯუღელისა...ძ; ყველა წიგნს თავისი სახელი ერქვა, „დედაენა“ – მხოლოდ იაკობისას...

**ისევე, როგორც არ შეიძლება ვინმემ თავის წიგნს „ვეფხისტყაოსანი“ ან „სიბრძნე სიცრუისა“ დაარქვას, არც „დედაენის“ დარქმევის უფლება აქვს სხვას...**

ჩვენ საკითხს ასე ვსვამდით: **თუ საანბანე წიგნი აი ია-ს პრინციპზეა შედგენილი, უნდა მიეთითოს, რომ შედგენილია ი. გოგებაშვილის მიხედვით; თუ აი ია-ს პრინციპი უარყოფილია, არ შეიძლება ეწოდოს „დედაენა“** (სამწუხაროდ, გვაქვს როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაცძ...




უცნაურ რამეს ბრძანებთ, ბატონო სიმონ: **„საავტორო უფლებებს კი განსაზღვრული ვადა აქვს, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმითაც კი გასულია“.**

„დედაენის“ შესახებ არის საუბარი! იურიდიულის გარდა მორალური და ზნეობრივი ნორმებიც რომ არსებობს, ეს არ გაგიგიათ? ცხადია, ი. გოგებაშვილი ვერ უჩივლებს ბ. სულაკაურს; მაგრამ **თქვენ, განათლების სისტემის ერთ-ერთმა მესვეურმა, მხარი უნდა დაუჭიროთ იაკობის საკუთრების მითვისებას და „იურიდიულადაც გაამაგროთ“ ეს ტაციობა? ზნეობა, მორალი ვახსენე ზევით; თქვენს სისტემაში ასეთი ცნებები „არ მუშაობს“?**

ბატონო სიმონ, თქვენ დილეტანტი ხართ ისეთ სფეროში, როგორიცაა ქართული ენა და დაწყებითი განათლება, ამიტომ თავს უფლებას არ უნდა აძლევდეთ, ასეთი რამ განაცხადოთ: **„დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი „აი ია“-ს ისწავლის თუ „აი მე“-ს. მთავარია, წერა-კითხვა ისწავლოს“.** ასე შეიძლება ვილაცამ იმსჯელოს, მაგრამ მისგან, ვისაც სახელმძღვანელოების ბედი აბარია, ამგვარი აზრის გამოთქმა დანაშაული მგონია მე...

არაკომპეტენტურობისა და დილეტანტიზმის კიდევ ერთი „ნათელი“ მაგალითია თქვენი მსჯელობა ანბანის სწავლების მეთოდებზე: **„სწავლების ორი მეთოდი არსებობს – ანბანური, ანუ მოსწავლე, როცა ასო-ბგერის მიხედვით სწავლობს კითხვას და მეორე, როცა სურათის მიხედვით იცის სიტყვა და ამით იმახსოვრებს საწყის ასოებს. ევროპაში ეს მეთოდია გავრცელებული... ვფიქრობ, რომ ანბანურ სწავლებას მეორე მეთოდი სჯობს“...**

თქვენ რომ ასე ფიქრობთ, ბატონო სიმონ, ეს ცოტას ნიშნავს; მთავარია, რას ფიქრობენ პროფესიონალები. იცით თუ არა, რომ ქართული ენის ბუნების გამო **აი ია**-ს პრინციპი ზედგამოჭრილია ჩვენი ენისათვის: ეს არის ენა, რომელშიც ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამება. მაშინ როცა, ევროპულ ენებში ერთი და იგივე ასო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასვაგვარად იკითხება; კიდევ: ერთი ბგერა ორი, სამი და ოთხი ასოთიც კი გადმოიცემა... ამიტომ **აი ია**-ს პრინციპის გამოყენება მათთვის (ევროპული ენებისთვისძ შეუძლებელია... ქართულისათვის კი თქვენგან მოწონებული ევროპული მეთოდის გამოყენება უაღრესად გაურთულებს ქართველ მოზარდს წერა-კითხვის შესწავლის პროცესს...

ბატონო სიმონ, სანამ დამნაშავედ გამოაცხადებ იმ პედაგოგს, რომელმაც თქვენგან მოწონებული წიგნები შეცვალა გოგებაშვილის „დედაენით“, ის რატომ არ იკითხეთ, რატომ შეცვალეს... უბედურება ის კი არ არის, რომ თქვენ ასეთი აზრები გაქვთ, არამედ ის, რომ თქვენს აზრს მითითების ძალა აქვს...

**„დედაენა“ ტრადიციული გზით ვერ ივლისო“,** აცხადებთ თქვენ უზოდიშოდ... იქნებ, სანამ ასეთ განცხადებას გააკეთებთ, სჯობს ან კონსულტაცია გაიაროთ პროფესიონალთან, ანდა თავად წაიკითხოთ შესაბამისი ლიტერატურა... საქმისთვის ასე აჯობებს...

**2009 წელი სახელმძღვანელოების საკონკურსო წელია და არ იქნება ურიგო, თუ ჩვენს მოკრძალებულ შენიშვნებს გაითვალისწინებთ... თუმცა არ მაქვს ამის იმედი თქვენგან...**

პატივისცემით,
**გიორგი გოგოლაშვილი**

პერსპექტივა

# ახალი ტრანშის მოლოდინი

**თბილისში მუშაობა განაახლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობამ, რის თაობაზე გადაწყვეტილება ფონდის ხელმძღვანელობამ საქართველოს მთავრობასთან 750 მილიონი დოლარის ღირებულების პროგრამის თაობაზე შეთანხმების გაფორმების შემდეგ მიიღო. თბილისის ოფისის ხელმძღვანელად ედვარდ გარდნერი დაინიშნა, რომელიც მუშაობას უკვე შეუდგა.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობამ თბილისში საქმიანობა შარშან ივლისში შეწყვიტა, მაშინვე გაუქმდა მუდმივი წარმომადგენლის პოსტიც. ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში განთავსებული ფონდის თბილისის ოფისში სამი თანამშრომელი და ერთი მუდმივი წარმომადგენელი მუშაობს.

აღნიშნული 750 მილიონი დოლარი, რომელთაგან პირველი 250 მილიონი სავალუტო რეზერვების გასამაგრებლად მიიმართა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ფინანსურ პრობლემათა დასაძლევად გამოუყო. უახლოეს მომავალში კი ფონდის დირექტორთა საბჭო უკვე გამოყოფილი 750-მილიონიანი თანხიდან მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხს განიხილავს. ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, საბჭოს გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის თებერვლის ვიზიტის შემდეგ გამოტანილმა დასკვნებმა.

ეკონომიკური განვითარების შარშანდელმა ტემპმა ექვსი პროცენტი შეადგინა, ხოლო წლეულს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორის მასუდ აჰმედის პროგნოზით, რომელსაც იგი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკების მიმართ აკეთებს, იგი ორ პროცენტს არ გადააჭარბებს. მისი აზრით, ამ ორი დიდი რეგიონის ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირება ელით.

გარდა ამისა ვარაუდობენ, რომ ისევე, როგორც აღმოსავლეთ ქვეყნების, ასევე საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ნეგატიურად აისახება. კერძოდ, **შემცირდება კაპიტალდაბანდებათა, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოცულობა,** რომელთა წინა წლებში მატება საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატებებით იყო განპირობებული. საქართველოს **ეკონომიკური ზრდის ტემპზე ასევე ცუდად აისახება ისიც, რომ კრიზისი ასევე ჩვენი ყველა პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკასაც შეეხო.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## „დანიშნეს ისინი, ვისაც ხალხი ენდობა“

**კახეთში** მყოფმა ირაკლი ალასანიამ ალიანსის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ყოფილი მოქკავშირელების და ნასამართლევი პირების დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „შტაბებს ხელმძღვანელობენ ისინი, ვისაც ხალხი ენდობა“. ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

როგორც ცნობილია, კახეთის რამდენიმე რაიონში, ალასანიას, ახლებისა და რესპუბლიკელების ალიანსის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად „მოქალაქეთა კავშირის“ ყოფილი აქტივისტები დაინიშნენ. ახმეტის შტაბის უფროსად კი ალიანსმა ქალაქ ახმეტის ყოფილი გამგებელი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის ნასამართლევი ზაქარია ქინქლაძე წარადგინა.

## ოპოზიციამ ქვემო ქართლი მოიარა

**გუშინ,** 9 აპრილის ორგანიზატორი პარტიების ლიდერები ქვემო ქართლის მოსახლეობას შეხვდნენ.

კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა თავდაპირველად მარნეულში ჩავიდნენ და მოსახლეობას გაესაუბრნენ.

ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა 9 აპრილისთვის დაგეგმილ მშვიდობიან აქციაში მონაწილეობისკენ მოსახლეობას ბოლნისშიც მოუწოდეს.

შემდეგ ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა და მათმა მხარდამჭერებმა დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს.

კობა დავითავშილმა, ზვიად ძიძიგურმა და კახა კუკავამ, მხარდამჭერებთან ერთად, დმანისის სიონი დაათვალიერეს.

შეხვედრები გაიმართა თეთრიწყაროსა და წალკაში.

## ეგვიპტელები – ქუთაისში, ვაშაძე – ეგვიპტეში

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფება.

როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, ვიზიტი ამ სახელმწიფოში ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ეგვიპტის მხრიდან საქართველოში მსხვილი ინვესტიცია ხორციელდება. საუბარია ქუთაისში დამოუკიდებელი ინდუსტრიული ზონის შექმნაზე.

მისივე თქმით, გრიგოლ ვაშაძე შეხვდება ეგვიპტელ კოლეგას, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრსა და არაბთა ლიგის გენერალურ მდივანს.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

**მწარე რეალობა**

*ბოლო პერიოდში საქართველოში „პოლიტიკური ტემპერატურის“ მატებასთან ერთად, სულ უფრო მაღლა იწევს „სტატისტიკური ტემპერატურაც“. ამას მრავალი მიზეზი აქვს, უპირველესი კი ის გახლავთ, რომ ქართულმა სტატისტიკამ ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებითა თუ უყურადღებობით, თანდათანობით დაკარგა თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია, ავტორიტეტი და ამჟამად ინსტიტუციური გაკოტრების რეჟიმში იმყოფება. თუმცა, მთავრობამ უკანასკნელ ხანს სტატისტიკას, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროს, „მზრუნველი თვალით“ გადახედა — პარლამენტში შესულია კანონპროექტი „სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ“, რომლის თანახმად, სტატისტიკის სახელმწიფო ორგანო დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ყალიბდება და მას სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქსტატი“) დაერქმევა. რამდენად გაამართლებს ასეთი ცვლილება საზოგადოების მოლოდინს, ამაზე და ბევრ სხვა საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციის ეპოქაში სტატისტიკური ინფორმაციის როლსა და მნიშვნელობასთან, გვესაუბრება ცნობილი ექსპერტ-ეკონომისტი იოსებ არჩვაძე.*



# ხელისუფლებამ სტატისტიკა ჩოხასავით მოირგო

## ციფრებთან თამაში სახიფათოა



**— ბატონო იოსებ, თქვენ, როგორც ხატოვნად იტყვიან, სტატისტიკაში ქიპმოჭრილი პიროვნება ბრძანდებით (მთელი 28 წელი ამ დარგის განვითარებას შეალიეთ) და უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ „წინასაინფარქტო“ მდგომარეობას, რაშიც ქართული სტატისტიკა მოხვდა, ძალუმად განიცდით.**

— ალბათ მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ამას მარტო მე კი არა, მთელი ქართული საზოგადოება მწვავედ განიცდის. ეს გასაგებია. იმისათვის, რომ საზოგადოება იყოს ღია, დამოუკიდებელი და დემოკრატიული, მას უნდა ჰქონდეს ძალიან ძლიერი ინფორმაციული „ფაბრიკა“. ინფორმაციის მწარმოებელი ორგანო კი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რათა ობიექტურად, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, შეაფასოს, თუ როგორ საქმიანობს ნებისმიერი სხვა სამსახური.

იმის გამო, რომ სტატისტიკის ეს ფუნდამენტური პრინციპი ირღვეოდა, საზოგადოების და თავად ხელისუფლების თვალში მყარდებოდა მოსაზრება, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების, დასკვნების მიღება შესაძლებელია სტატისტიკის გვერდის ავლით, სწორი, ობიექტური სტატისტიკური მონაცემების გარეშე. ამ პროცესს სათავე დაუდო 2004 წლის დასაწყისში სტატისტიკური სამსახურის სტატუსის დაკნინებამ, თანამშრომელთა თითქმის სამჯერადმა შემცირებამ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მისმა საქვეუწყებო დაწესებულებად შეყვანამ. რა თქმა უნდა, ამ უგუნურმა ნაბიჯმა უწყების საქმიანობაში დისონანსი შეიტანა. ბუნებრივია, როცა სამინისტროს ევალება თავისივე დებულებით შეადგინოს ქვეყნის განვითარების ინდიკატური გეგმა და მერე ამ გეგმის შესრულებაზე კონტროლს აწესებს მისი საუწყებო დაწესებულება, იქ არ შეიძლება ინტერესთა კოლიზია არ იყოს. სხვათა შორის, ამას ჯერ კიდევ სტალინი მიხვდა, რომელმაც ტოტალიტარული მმართველობის პერიოდში მაშინდელი საგეგმო კომიტეტიდან გამოყო სტატისტიკური სამმართველო. ეს იყო 1948 წელს და მას მერე, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სტატისტიკური სამსახური ეკონომიკური სამსახურის დაქვემდებარებაში არ ყოფილა. პირდაპირ გეტყვით, როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანება (თუმცა ისინი მაინც გააერთიანესძ, ისე არ შეიძლება ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სამსახურის ერთ უწყებაში მოქცევა, ვინაიდან სასურველი ინფორმაციის გავრცელების ცდუნება იმდენად დიდია, რომ მან შეიძლება სტატისტიკაზე იმოქმედოს.

**— მაგრამ ვიდრე ამ ცდუნებებზე ვილაპარაკებდეთ, ორიოდე სიტყვით ხომ არ გვეტყოდით თავად სტატისტიკის რაობისა და არსის თაობაზე?**

— სიამოვნებით. სტატისტიკა ეს გახლავთ მეცნიერება, პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, მათ თვისობრივ მხარეებთან მჭიდრო კავშირში. მეტსაც გეტყვით, სახელმწიფოს ნორმალური, ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია მას ჰქონდეს ძალიან მძლავრი სტატისტიკური სამსახური. როგორც უშიშროების სამსახური ზრუნავს ქვეყნის შიდა და გარე რისკების დაძლევაზე და მის ნორმალურ საქმიანობაზე, ისე სტატისტიკის სამსახური იძლევა ინფორმაციას, სად რა მდგომარეობაა, სად არის დარღვევები და სად უფრო მძიმე სიტუაცია. შესაბამისი დასკვნების გამოტანის შემდეგ კი ხდება გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ეხმარება საზოგადოებას ქვეყნის უფრო ეფექტიან მართვასა და განვითარებაში. ამდენად, ნებისმიერ საზოგადოებას სჭირდება ძლიერი სტატისტიკური სამსახური. ციფრებთან ხუმრობა არ შეიძლება.

**— ამის მიუხედავად, ბატონო იოსებ, ალბათ თქვენც დამემოწმებით, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან უყვარს ციფრებთან „თამაში“ (და არა მარტო ციფრებთან!). ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით, ქვეყნის პრეზიდენტი, ხელისუფლების სხვა მსხვილი ჩინოვნიკები აგვისტოს ომამდე ტრაბახით გვიკლებდნენ, ქვეყანა ეკონომიკურად ავაყვავეთო. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობას კუჭი შიმშილით უხმებოდა და ახლაც უხმება. საზოგადოებაში ჩნდება არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ ხელისუფლება სტატისტიკის დეპარტამენტის მეშვეობით ქვეყანაში მოჩვენებითი კეთილდღეობის ყალბ სურათს გვიხატავს.**

— იმ პროცესებზე, რამაც სუსტი და უფუნქციო სტატისტიკის გამო იჩინა თავი, პასუხისმგებლობა თავად ხელისუფლებას ეკისრება. ფაქტია, ბოლო წლებში ის ინდიკატორები, რომლებიც „ეჭვქვეშ აყენებდნენ“ ქვეყნის დინამიურ წინსვლას და კეთილდღეობის ამაღლებას, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმატებულ საქმიანობას, „შერისხულნი“ აღმოჩნდნენ. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა მოვიხსენიოთ სიღარიბის დონე. სტატსამსახურის სტატუსის დაკნინების შემდეგ ჯერ მისი გაანგარიშების მეთოდიკა შეიცვალა, ღირებულებით მკვეთრად — 30 პროცენტით შემცირდა (მარტო ამის წყალობით ქვეყანაში ღარიბთა რაოდენობამ მყისიერად მესამედით „მოიკლო“ძ. მეორე, ამანაც რომ „არ უშველა საქმეს“ და ახალი მეთოდიკით ისევ დაიწყო ზრდა ღარიბთა რაოდენობამ, ეს მაჩვენებელიც საჯარო ხელმისაწვდომობისთვის დაიხურა. მის ნაცვლად ხმარებაში შემოუშვეს ამორფული „სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ“, რომელიც შიდა სტატისტიკურ სამზარეულოში ჩაუხედავს ბევრს არაფერს ეუბნება, თუმცა იგი ღარიბ შინამეურნეობათა რიცხვის კიდევ დაახლოებით 1,7-ჯერ ხელოვნურ შემცირებას ნიშნავს.

**— გასაგებია. ხელისუფლებამ სტატისტიკის თანამედროვე ტექნოლოგიით გაყალბებული მონაცემები, რომლებიც თავადვე დაუკვეთა, საჭიროებისამებრ „ჩოხასავით მოირგო“.**

— ვერ შეგეკამათებით, ერთს კი ვიტყვი: სახელმწიფო ყოველთვის დაინტერესებულია მისი საქმიანობის შედეგების უკეთ წარმოჩენით. იგი ცდილობს საზოგადოების, მედიის ყურადღება გაამახვილოს იმ ინდიკატორებზე, რომლებიც მეტ რეიტინგს შესძენენ, ხოლო უარყოფითის იგნორირება მოახდინოს. ავიღოთ მაგალითად, ინფლაციის მაჩვენებელი, რომლის რეალობაზეც ბევრს ეჭვი ეპარება. 2008 წლის დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, ქვეყანაში ფასები ოფიციალურად 5,5 პროცენტით გაიზარდა, თუმცა საშუალო წლიურმა ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა. მაგრამ თუ ავიღებთ ცალკე სურსათს, რომელზეც ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი იხარჯება, აქ ფასების ზრდა კიდევ უფრო მაღალია, თითქმის 15 პროცენტი. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება, როგორც წესი, აქცენტს აკეთებს 5,5 პროცენტზე, ხოლო ოპოზიცია — 15 პროცენტზე, ე. ი. საჯილდაო ქვა ხდება სტატისტიკური ინდიკატორი, რომელსაც მოპირდაპირე პოლიტიკური მხარეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი 2003 წელთან შედარებით 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, მაგრამ ეს არის მხოლოდ ნომინალური ზრდა, რომელშიც აღნიშნულია ფასების მატება და ლარის კურსის გამყარება დოლართან. მაგრამ თუ რეალურად შევაფასებთ ეკონომიკურ ზრდას, აღმოჩნდება, რომ მან მხოლოდ 45,7 პროცენტი შეადგინა (!ძ. შედარებისთვის ვიტყვი, რომ აზერბაიჯანში ამავე პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 159,5 პროცენტით, სომხეთში — 73,3, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — 38,9 პროცენტით.

**— ერთი სიტყვით, ხელისუფლება ტყუილებით წყალში საცურაო ბალიშივით გვბერავს, თანაც მეზობლების უგერგილობით გვახალისებს, აი ნახეთ, რა დღეში არიან, ეკონომიკა თავზე უნდილი ცემენტივით ჩამოეშალათო. როგორ ატყობთ, ბატონო იოსებ, ტყუილი ციფრებით ეკონომიკის შენებას და ხალხის გაცუცურაკებას ახლა მაინც, როცა კანონი იცვლება და სტატისტიკის სამსახური დამოუკიდებელი ხდება, ვითომ რამე ეშველება?**

— როგორც უკვე ვთქვი, სტატისტიკა თავისი ბუნებით, შინაგანი მოწოდებით დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, დეპოლიტიზებული უწყებაა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები მის ინფორმაციას მოიხმარენ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, რაც დაუშვებელია. როგორი იქნება სტატისტიკის სამსახური მას შემდეგ, რაც ის ახალი კანონის საფუძველზე ეკონომიკის სამინისტროსადმი ინსტიტუციური დამოკიდებულებისგან გათავისუფლება? „საქსტატის“ საზედამხედველო ორგანო იქნება სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო საკონსულტაციო ორგანო — ტექნიკური კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭო შედგება რვა წევრისგან, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეა. თავმჯდომარესა და ოთხ წევრს თანამდებობაზე, პარლამენტთან შეთანხმებით, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დანარჩენი წევრები იქნებიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები ან მათი მოადგილეები, რომლებიც თავის დროზე ასევე პრეზიდენტის დანიშნულები არიან: ჰოდა ასეთი სტატისტიკური სამსახური, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მთლიანად პრეზიდენტი ნიშნავს, დამოუკიდებელი როგორ იქნება.

**— თქვენი აზრით, როგორ აჯობებდა?**

— აჯობებდა, პრეზიდენტს მარტო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაენიშნა, ხოლო საბჭო დაკომპლექტებულიყო სტატისტიკური ინფორმაციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლებისა და მომხმარებლებისგან, ბიზნესის, პროფკავშირების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების და სხვა სფეროების წარმომადგენლებისგან. ჩემი აზრით, მხოლოდ ასეთი წარმომადგენლობა შეძლებდა რეალურად სტატისტიკური სამსახურის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას. რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან სასურველი ციფრების მიღების მიზნით სტატისტიკის ხელმძღვანელობაზე ზეწოლას, ის გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მართვაში დემოკრატიის დასამკვიდრებლად „მამალი ავტორიტარიზმის“ მცდელობა არ მოისპობა. ამასთან, დღევანდელ პირობებში სტატისტიკას სჭირდება ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი წონა, ავტორიტეტი და უნარი იმისა, რომ წინ აღუდგეს ასეთ ზეწოლას. სხვაგვარად ისეთ შედეგებს, რომ ინფორმაციის წარმოების ჩვეული ტექნოლოგია უტოლდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ვერ მივიღებთ.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

**რეპლიკა**

# „დაგიმშვენდა ისე ცხვირი“...

**პირველი არხის („ახალი სტილით“ საზოგადოებრივი მაუწყებლის) ერთ-ერთ გადაცემას ჰქვია „ცხოვრება მშვენიერია“.**

მე, საქართველოს მცხოვრები რიგითი ტელემაყურებელი თუ მსმენელი, ასეთ დასახელებას, ჩვენი ამჟამინდელი რეალური ყოფიდან გამომდინარე, სუფთა ცინიზმად აღვიქვამ და რეკლამა მახსენდება, მგონი, „დაისიდან“: „დაგიმშვენდა ისე ცხვირი“...

ახლანდელი ცხოვრების შემყურემ მაგ გადაცემის ყურებისას დავიჯერო, რომ ის მშვენიერია? დაცინვად არ გაისმის? გასაკვირია, რომ პატივცემული პირველარხელებიდან ამაზე არავინ დაფიქრდა.

„სიცოცხლე მშვენიერია“ მაინც დაარქვით — სიცოცხლე, როგორც ბიოლოგიური მოვლენა, მართლაც შეიძლება მშვენიერია, თუნდაც ქვეყანა დაქცეული იყოს...

**თამაზ ეგანოიძე**

**ინფორმაცია**

## ბულგარეთის დიპლომატიურ ინსტიტუტში ქართველებისთვის ადგილების რაოდენობა იზრდება

**ბულგარეთის** საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საქმეთა სამინისტროს სამადლობელი წერილი გამოუგზავნა. მიზეზი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი დიპლომატის ლია მამულაშვილისა და ნინო სიხარულიძის ბულგარეთის დიპლომატიური ინსტიტუტის წარჩინებით დასრულებაა.

როგორც საგარეო უწყებაში განმარტავენ, წერილში აღნიშნულია, რომ ქართველი საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატები სამაგალითო პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, რის გამოც ბულგარეთი დიპლომატიურ ინსტიტუტში სწავლებისათვის საქართველოსთვის არა ორ ადგილს, როგორც ეს ადრე იყო, არამედ 6 და შესაძლოა 6 ადგილსაც გამოყოფს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ვაითუ!

# „რევოლუციით შობილნი“

(მეოთხე გვერდიდან)

ვერ გავიგე, ეს ტელევიზიები ამ ხელისუფლებისაა, თუ იმ ვიღაცის, ვინც ასეთი რალაცების თქმას აპირებს.

ახლა რომ ვთქვა, ხელისუფლება მთლად გულხელდაკრეფილი ზის და ელოდება, როდის გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც ყველაფერ ამას „ბნელი წარსულიდან ძლივს გამოსული“ ქვეყნის ისევ უკან შესაბრუნებლად „გამოიყენებს“, ტყუილი იქნება, ჰოდა ტყუილი კიდევ პრეზიდენტის და მისი გუნდის არ იყოს, რა საკადრისია. ამიტომ თქვენს „დასამშვიდებლად“ ერთ-ორ „ტკბილ“ სიტყვასაც ვიტყვი.

საკმაოდ ძლიერად ამუშავდა სააკაშვილის „პიარ მანქანა“ და ქართული საინფორმაციო სივრცე, ხელისუფლებასა და „რადიკალურ“ ოპოზიციას შორის „კონსტრუქციული“ დიალოგის „გამართვისთვის“ წამოყენებულმა მოწოდებამ აავსო.

გაზეთებიდან დაწყებული, ტელედებატებით გაგრძელებული და ინტერნეტ-ფორუმებით დამთავრებული, მოსალოდნელი დიალოგი საკმაოდ აქტიური განხილვის საგნად გადაიქცა.

ეს ინიციატივა ქრისტიან-დემოკრატებმა წამოაყენეს.

თავის მხრივ, იდეა, ნამდვილად ნორმალურია.

მართლაც ამოვიდა ყელში ერთი და იგივე გამომსვლელების ცქერა და ერთი და იგივე მოწოდებების მოსმენა.

რა სჯობია, მიხვალ, დაჯდები ცივილურად, დაისხამ ბორჯომს და ეტყვი: ეს ასე კი არა, ისე უნდა იყოსო. ისიც გეტყვის: უი, ეს რა მომსვლია, როგორ გამომეპარაო (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ფრაზას, რომელი მხარე ამბობსძ.



ხომ კარგია?

ნამდვილად კარგია, მაგრამ შარშანაც მახსოვს ეგეთი „კონსტრუქციული“ დიალოგი, რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენელი, გვარს არ დავასახელებ და ოპოზიციაში გადასული, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე გახლდათ.

ჰოდა, მასზე უკეთ ვის ეცოდინება ეგეთი „დიალოგის“ შედეგი.

არადა, „კონსტრუქციული დიალოგის“ მოყვარულმა ხელისუფლებამ მაშინვე მხარი აუბა ამ იდეას. თანაც ისე აქტიურად, რომ შეხვედრის ადგილად სასჯელაღსრულების მინისტრმა მასზე დაქვემდებარებული ტერიტორია წარმოადგინა (მოკლედ „ციხეების სამინისტრო“ კი არა, ბრესტ-ლიტოვსკია და შაშკინი კი ვუდრო ვილსონი, ან ლორდი ჩემბერლენიძ.

არადა, შეხვედრის ადგილი ნამდვილად „ზუსტადაა“ შერჩეული და „უცვლელად“ უნდა დარჩეს (რას ავიკვიატე ეს რუსული ფილმები მილიციაზე. „ფუ, ფუ, თვალი არ მეცეს“).

„რაზბორკა“ გინდათ, ძმაო? „ბაზარი არაა“. ციხე „სტრელკისთვის“ ყველაზე „სოლიდური“ ადგილია.

„ევროპული დიალოგი“ გნებავთ? ყოფილ „არასამთავრობო სექტორელ“ შაშკინზე უკეთ ვინ იცის „ცივილური ეტიკეტის“ ნორმები?

მოკლედ რომ ვთქვა, ხელისუფლება სრულ მზადყოფნაშია.

რაც შეეხება ოპოზიციას, რა თქმა უნდა „რადიკალური ოპოზიცია“, ყოველგვარ დიალოგსა თუ მოლაპარაკებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

„დედა ეს რა კატეგორიული უარიაო“, არა, მაგრამ „კაი პატარძალივით“ კი „კეკლუცობს“ და ყველამ კარგად ვიცით, რომ ბოლოსდაბოლოს მაინც მიუსხდება სუფრას, უკაცრავად, მოლაპარაკებების მაგიდას.

ინტერნეტ-ფორუმებში „მოჩათავე“ რომელიმე „რადიკალმა“, რბილად რომ ვთქვა, ამ ჩემს მოსაზრებას შეიძლება არ დაუჯეროს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ოპოზიცია ყველანაირად არიდებს თავს რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზე პასუხისმგებლობის აღებას და „ცეკადან“, უკაცრავად, დასავლეთიდან ელოდება „მკვეთრ მოძრაობებს“, მაგრამ ამასაც რომ თავი გავანებოთ, და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო, აქციებზე მიმსვლელთა რაოდენობის შემცირება გავითვალისწინოთ, ეს „გაძალიანება“ არც ისე დიდხანს გასტანს.

არადა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა შედეგებით მთავრდება მსგავსი სახის „კონსტრუქციული დიალოგები“. ჰა, ჰა, მაქსიმუმ პირველი არხის ხელმძღვანელობა შეიცვალოს და გადაცემა „ცხოვრება მშვენიერია“ დაიხუროს (ისე არც „სამოთხის ვაშლებს“ დააადგებათ კარგი დღეძ, მაგრამ დღეს ერთი, ძალიან სერიოზული ფაქტორი იქნება გასათვალისწინებელი.

**ხალხის უმუშევრობისგან, გაურკვეველი მომავლისგან და ყველაფერ ამ სისულელეებისგან დაღლილი, ხალხის ფაქტორი.**

**მე როგორც ყოველთვის კი ვიქნები ჩუმად და არაფერს არ ვიტყვი, მაგრამ ვიღაცამ ჩემს გარდა ხომ იცის ეს და რომ არ გაჩუმდეს?**

**მაშინ უკვე „არ ვიცი! ვიცი? ნამდვილად არ ვიცი!“.**

**გია გაბრიჭიძე**

◎ განგაში

***თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკისა და, გნებავთ, პოლიტიკის ყველაზე რთულ საკითხად სასურსათო პრობლემა ისახება. ბევრ ქვეყანაში სურსათის დეფიციტია, ბევრ ადამიანს, უბრალოდ, შია. ისიც ფაქტია, რომ ახლო მომავალში დედამიწის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ვერ ექნება სხვადასხვა სახეობის სამყოფი კალორიული საკვები, აუცილებელი ცხოველური ცილის მიღება კი განსაკუთრებული პრობლემა იქნება. სწორედ ამიტომ მეცხოველეობის განვითარებას მთელ მსოფლიოში დიდ ყურადღებას აქცევენ.***

***— რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? — ამ საკითხზე ვესაუბრე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს რუსუდან ბარკალაიას.***

# ჩვენი პირუტყვის ენდემურ ჯიშებს განადგურება ემუქრება?!

## ასე ხდება იმიტომ, რომ ჩვენთან სელექციის პროცესი სტიქიურ ხასიათს ატარებს

— პირუტყვის სულადობა საქართველოშიც 2000-2005 წლების ჩათვლით, მატულობდა. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 83 ათასით, ანუ 7 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ უკვე მხოლოდ 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, სულადობა 96.800-ით, ანუ 7,7 პროცენტით შემცირდა. შემცირდა ფურისა და ფურკამეჩის, ღორის, ცხვრის, თხის სულადობაც.

სულადობის დინამიკის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სელექციის პროცესი, საერთოდ, ჩაშლილია.

**— როგორია რძის წარმოების დონე მსოფლიოში და ჩვენთან?**

— რძის პრობლემის გადაჭრისთვის წარმატებით მუშაობენ ოკეანიისა და ევროპის ქვეყნები. აქ რძის წარმოება ერთ კაცზე წელიწადში შესაბამისად, 783 და 297 კილოგრამს შეადგენს. ცალკეული ქვეყნების მიხედვით ყველაზე მეტ რძეს აწარმოებენ ახალ ზელანდიაში — 3814 კგ ერთ კაცზე, ამ ქვეყნიდან რძის პროდუქცია ძირითადად სხვა ქვეყნებში გააქვთ. რძის მაღალი წარმოება აქვთ ირლანდიაში, დანიაში, ავსტრალიაში, ბელორუსიაში, ფინეთში, საფრანგეთში და სხვ.

საქართველოში კი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში (2006 წლის მონაცემებითძ 163 კილოგრამი რძე იწარმოებოდა.

**— ზრდასრულმა ადამიანმა დღე-ღამეში რამდენი გრამი ცილა უნდა მიიღოს?**

— 70-დან 105 გრამამდე. ამ მოთხოვნილების ნახევარი ცხოველური წარმოშობის ცილით უნდა დაკმაყოფილდეს. ამიტომ, გასაგებია, რომ დიდი ყურადღება ექცევა ცილებით გამდიდრებული ხორცის ნედლეულის წარმოებას.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განავლობაში ფურების ისედაც ძალზე დაბალი საშუალო პროდუქტიულობა სულ უფრო კლებულობს. მაგალითად, რძის საშუალო პროდუქტიულობა (1110 კგძ 1990 წელთან შედარებით 175 კგ-ით, ანუ 15,7 პროცენტით შემცირდა (გახდა 935 კგ.ძ.

ამავე დროს ამ წლების განმავლობაში რძის წარმოება იზრდებოდა. მაქსიმალური მაჩვენებელი იყო 2005 წელს — 787,7 ათასი ტონა, რაც 1990 წელთან შედარებით 128,3 ათასი ტონით, ანუ 19,5 პროცენტით მეტია. საქმე ის არის, რომ ეს ზრდა სულადობის ზრდის შედეგია და არა ფურების პროდუქტიულობისა.

**— რატომ ხდება ასე?**

— იმიტომ, რომ ჩვენთან სელექციის პროცესი სტიქიური ხასიათისაა. გარდა ამისა, 1998 წლის შემდეგ არ არის აღრიცხული სულადობა ჯიშების მიხედვით — კავკასიური წაბლა, ქართული მთის და მეგრული წითელი. ამ წლის მონაცემებით საქართველოში გვყავდა 1027 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კავკასიური წაბლა — 14 500 სული, მეგრული წითელი — 4,500, ქართული მთის ჯიში 151 100, სხვა ჯიშიერი და ნაჯვარი — 726 500, 2006 წლის მონაცემებით გვყავდა 1.163 600 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ანუ სულადობა 136 600-ით (13,3 პროცენტითძ გაიზარდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიზრდებოდა ჯიშების ხვედრითი წილიც.

**— სულადობა თითქოს ცოტა არ უნდა იყოს, ხორცის წარმოებამაც მოიმატა?**

— სწორედ ამ კითხვას ველოდი, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა. ხორცის წარმოება, 1990 წელთან შედარებით, პირიქით, 70 ათასი ტონით, ანუ 41,1 პროცენტით შემცირდა.

**— ნამატთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

— აქაც ცუდი მდგომარეობაა. მიზეზი ბევრია, ძირითადი კი გახლავთ ის, რომ გაუქმებულია სახელმწიფო სანაშენე დეპარტამენტი და მთლიანად მოშლილია სელექციის პროცესი. სამწუხაროა, რომ არ არსებობს ზოოტექნიკური აღრიცხვა. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მეძროხეობის პროდუქტიულობის წარმოებაც სტიქიური ხასიათისაა.

ამის გამო, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ძვირფასი ენდემური ჯიშების გენოფონდს სრული განადგურება ემუქრება. ეს უკვე შეეხო მეფრინველეობისა და მეღორეობის მიმართულებებს. მეძროხეობაში ასეთი პერსპექტივა რომ ავიცილოთ, პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

**— უპირველესად, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?**

— ფაქტობრივად, სანაშენე საქმიანობა თავიდან უნდა დაიწყოს, ამისთვის კი უპირველესად სასელექციო მუშაობა უნდა აღდგეს, რადგან ხორცისა და რძის წარმოების სწრაფი ტემპით ზრდა მხოლოდ მაღალი დონის სანაშენე საქმიანობით მიიღწევა. მისი ამოცანაა მაღალპროდუქტიული ცხოველების მიღება-გამოზრდა, არსებული ადგილობრივი ჯიშების მუდმივი სულყოფისა და ახალი, უფრო ეკონომიური ჯიშების შექმნის გზით, რათა ჩვენმა ფერმერებმა მეტი მოგება ნახონ.

**— სხვა ქვეყნებში როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?**

— ცნობილია, რომ მრავალ ქვეყანაში დამუშავებული და მიღებულია გაქრობის ზღვრამდე მისული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის შენარჩუნების ნაციონალური პროგრამები. ისინი პერსპექტივაში ითვალისწინებენ მათ შესაძლო გამოყენებას გლობალური ჯიშების სელექციის სისტემაში. ამის წყალობით იზრდება არა მარტო ნახირის აღწარმოება, არამედ იგი ხარისხობრივადაც უმჯობესდება. ჩვენი აზრით, აუცილებელია, შენარჩუნდეს ადგილობრივი ძროხის ჯიშების ძვირფასი ნიშან-თვისებები და შემუშავდეს არსებული ჯიშობრივი რესურსების გამოყენების საერთო სისტემა მათი შემდგომი განვითარებისათვის.

მე, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, მიმაჩნია, რომ სანაშენე საქმიანობის სწორი და გააზრებული წარმართვა აუცილებელია ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და, მთლიანად დარგის განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, სახელმწიფოს უშუალო ჩარევის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ საქმეში წინსვლა და, საერთოდ, დარგის განვითარების პერსპექტივის გამოკვეთაც.



**ესაუბრა**
**ნაზი იმნაიშვილი**

## აქტუალური ინტერვიუ



***ქართული საზოგადოების ერთი ნაწილისთვის დაპირება „ნატოს კარი მუდამ ღიაა საქართველოსთვის" ამ ბოლო დროს ჰაერში გამოკიდებული დარჩა. არც ნატოს ე. წ. „შეშფოთებაა" ჩვენთვის რეალური შედეგის მომტანი. ნატო ლაპარაკობს, რუსეთი თავის საქმეს აკეთებს, დაჩქარებული ტემპით განალაგებს აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზებს. ამ თემით დავიწყეთ საუბარი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორთან, „ახალი მემარჯვენეების" ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის უფროსთან კახა კაციტაძესთან.***

# ხელისუფლებამ მოკავშირეებიც საკუთარი ერივით მოატყუა

— მას, ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას რუსეთსა და აფხაზეთის ანდა რუსეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის სარკისებურ ანალიზად განიხილავს, მინდა ვუთხრა, რომ 03 **ჯერჯერობით, მგონი, უფასოა, ფსიქიატრის გამოძახება შეუძლიათ,** — გვითხრა ბატონმა კახამ, — არანაირ სამხედრო მოქმედებებში ნატოს ჩართვა არც იგეგმებოდა და ეს აზრადაც არავის მოსვლია. რას გულისხმობთ რეალურ დახმარებაში, რომ ამერიკული ჯარი აქ გადმოჯდება ან ინგლისელები იომებენ და სოხუმს ლანგრით მოგვართმევენ? წლების განმავლობაში სახელისუფლებო პიარი სწორედ ამას შთააგონებდა მოსახლეობას, რომ ნატო მოვა, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღგვიდგენს და აფხაზეთსა და ცხინვალს დაგვიბრუნებსო. ეს არასდროს უთქვამს ნატოს, არც დაგვპირებია, თქვენი გულისთვის რუსეთთან ვიომებო. ომის დროს ხომ ატყუებდა და დღესაც ატყუებს ზოგიერთი ჟურნალისტი ხალხს, ისინი უღირსებო ადამიანები არიან...

ისმის კითხვა: რატომ უნდა გავწევრდეთ ნატოში? ხელისუფლებისთვის ეს ნაბიჯი ორ მიზანს ემსახურება: საკუთარი ფსიქოპათოლოგიური თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას; მათ ერთმანეთში მიზანი და საშუალება აურიეს.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩემთვის საქართველოს ნატოში გაწევრება საშუალებაა, და არა მიზანი. გაუგებარია, რატომ უნდა გავწევრდეთ ქართველები სადღაც, თუ ეს გაწევრება რაღაც მიზანს არ ემსახურება?

ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი, ამის გამო რა, ნაკლებად ევროპული სახელმწიფოა? ექსპერტები მსჯელობენ, შევიდეს თუ არა ქვეყანა ევროკავშირში. ჩვენი ხელისუფლება კი, ეჭვი მეპარება, საერთოდ აზრზე არაა, სადაა. ბრიუსელში ვინ დაელაპარაკა სააკაშვილს, იქნებ ერთი სახელმწიფოს ლიდერი მაინც დამისახელოთ? გაიხსენეთ, როგორ შეხვდა მიუნხენში სააკაშვილს ჯო ბაიდენი, ხელი ჩამოართვა და სახე იბრუნა.

აქ არ იგულისხმება, იყოს თუ არა საქართველო ნატოს წევრი. ეს ხომ სიცრუეა, რომ ნატო აღგვიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. მე პირადად ნატოს საშუალოზე მაღალ ჩინოვნიკებთან მქონია ურთიერთობა და ასეთი რამ უთქვამთ — თქვენ დაელაპარაკეთ აფხაზებსა და ოსებსო. ჩვენთან, სამწუხაროდ, ისინი, ვინც საკუთარ თავს ლიბერალებს უწოდებდნენ, აგვისტოს ომის შემდეგ წერდნენ — გადავუაროთ, დედა ვუტიროთ, ჩავხოცოთ, მოვსპოთ, მათ ავიწყდებოდათ, რომ იქითა მხარესაც ადამიანები არიან. განა არ უნდა დაველაპარაკოთ მათ?

**— რეალურ დახმარებაში იგულისხმება, თუნდაც ნატოში დაჩქარებული მიღება და რუსეთის წინააღმდეგ ქმედითი ბერკეტების გამოყენება, რაც ჯერჯერობით არ ჩანს...**

— გასაგებად გეუბნებიან, რომ ნორმალური ქვეყანა არ ხარ. ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით: ვინც ნატოს ქვეყნებს შორის ყველაზე ფაქიზი დიპლომატიით გამოირჩევა, ბრიტანეთია. ბრიტანელებთან მისაუბრია და ვიცი: ნატოში ნამდვილად არსებობდა განწყობა, რომ ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და მნიშვნელობის გამოც, თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ სააკაშვილი სტანდარტებს არღვევსო. მაგრამ რომ არ მოგატყუოთ, ჯერ კიდევ ბუქარესტის სამიტზე ამ კითხვას გაეცა პასუხი — არ დავხუჭავთო.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სააკაშვილი ომის ავანტიურაზე წავიდა, ის იყო, რომ დაინახა, გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მის მმართველობას საქართველოში მხარს არ დაუჭერდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, გახდება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო. 2001 წელს ვამბობდი, რომ ეს 2008 წელს რეალური იქნებოდა, მაგრამ სააკაშვილმა 7-8 წლით გადადო ეს პროცესი.

**— ანუ ხელისუფლებას ნატო მხოლოდ პიარისთვის სჭირდება?**

— ნატოსადმი დამოკიდებულება ბლეფია იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლებას არანაირი პოლიტიკა არა აქვს ნატოს მიმართ, ნატო გააპიარეს და დღეს ნატო აფარჩაკებს მათ. სააკაშვილი ხომ სხეფერის სიძედ მოიაზრება, რატომ არ გვიღებენ ნატოში? იმიტომ რომ იგი გაპაზორებულია. რუსოფილობა რომ არ დამაბრალონ, ვიტყვი, რომ „პოზორ" სლავური სიტყვაა და ნიშნავს „გაფრთხილდით!". პრაღაში მეტროს კარების დაკეტვისას, გაიგონებთ: პოზორ, პოზორ, ანუ ფრთხილად, კარები იკეტება!

**— თქვენ ნატოს გენერალური მდივანი სხეფერი ახსენეთ. იმის თქმა გინდოდათ, რომ ბრიუსელში სააკაშვილის მიმართ უარყოფითი განწყობაა? თუ ასეა, რატომ? აგვისტოში მკვეთრად განსხვავებული განწყობა ჰქონდათ...**

— მოდით შევთანხმდეთ: იქ სუპერმენები და გენიოსები არ არიან, არამედ, ჩვეულებრივი ადამიანები სხედან, რომლებსაც შეიძლება რაღაც შეეშალოთ.

**— მაინც რა მოხდა ისეთი, რამაც მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ რადიკალურად შეცვალა?**

— მეტი ინფორმაცია მიიღეს კონფლიქტის დაწყების თაობაზე. არაჩვეულებრივი ინგლისელი ავტორია ლიდელ-ჰარტი, დიდი სტრატეგიის შესახებ მის წიგნს დასავლეთის მაღალი რანგის გენშტაბის აკადემიებში ასწავლიან. მისი აზრით, ვინც ავანტიურაში გითრევს, გინდ მეგობარი იყოს, გინდ მოკავშირე, მასთან საქმე არ უნდა გქონდეს. მეც, ბუნებრივია, საბჭოური გავლენის ქვეშ ვიყავი, როცა მეგონა, რომ ჰიტლერი ყველა ვარიანტში აგრესორია, პოლონეთი კი მართალი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ავანტიურაში პოლონეთსაც თავისი წვლილი მიუძღვოდა. ამაზე ლიდელ-ჰარტის წიგნმა დამაფიქრა.

სააკაშვილის შემთხვევაშიც ასეა. დასავლელი ლიდერები ავანტიურისტთან საქმეს არ იჭერენ. ჩვენი ხელისუფლების ავანტიურის მისახვედრად მათ დრო დასჭირდათ. ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება (არ მინდა „ჩვენის" თქმა, რადგან ეს ხელისუფლება ჩემი არ არის) ვიღაცის ბრძანებას კი არ ასრულებდა, არამედ საკუთარი სიბრიყვით იმართებოდა, ეს ბრიუსელში ძალიან ნელა გააცნობიერეს. მათ უბრალოდ უმარტივესი რამ ვერ წარმოიდგინეს, რომ ფსიქიურად არამდგრად ადამიანებთან ჰქონდათ საქმე.

**— ავანტიურის გარდა, ექსპერტებს სხვა არგუმენტიც აქვთ, რომ აშშ-ს და ნატოს რუსეთი ყოველთვის სჭირდება სტრატეგიული პრობლემების მოსაგვარებლად, რუსეთი საქართველოზე მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის, ჩვენ კი უკვე მერამდენედ დიდი სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებს ვეწირებით...**

— რატომ ვეწირებით, მაზოხისტები ვართ? ყველამ ვიცით, რომ თემურ-ლენგმა საქართველოში რვაჯერ ილაშქრა, მას დიდი გეოპოლიტიკური ინტერესიც ჰქონდა, როდესაც ოქროს ურდოს ყაენს ებრძოდა. ერთ-ერთი ლაშქრობისას ჩვენ გავუხსენით დარიალი და ჩვენს ტერიტორიაზე გამოვატარეთ თემურ-ლენგის მოწინააღმდეგეები — ჩრდილოელი მეტოქეები... ნუთუ გვსიამოვნებს, რომ მუდამ სულელის როლში ვიყოთ? არასდროს დამავიწყდება „გენიოსი" კახა ლომაიას ინტერვიუ, რომელიც „ლე მონდში" გამოქვეყნდა. მან ასეთი რამ განაცხადა: ჩვენ თავი უნდა დავდოთ იმისთვის, რომ მსოფლიოს დავანახოთ, როგორი აგრესორია რუსეთიო. კარგით რა, სხვამ დადოს თავი, რაღა ჩვენ უნდა შევეწიროთ, საცდელი ვირთხები თუ ბაყაყები ვართ?

**— საგარეო ურთიერთობაში ხელისუფლების არსებით შეცდომად რა მიგაჩნიათ?**

— ყველაზე არსებითი საგარეო პოლიტიკური შეცდომა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეს საშინაო პოლიტიკაა, ანუ აქ ნორმალური პოლიტიკური სისტემის ნაცვლად ერთმმართველობა დაამყარეს ივანე მრისხანესავით. პაროდიაა, როგორც ივანე მრისხანემ დაიწყო სამარცხვინოდ წაგებული ლივონიის ომი, ამ ხელისუფლებასაც ისე დაემართა. ეს იყო არსებითი საგარეო-პოლიტიკური შეცდომა. ქვეყნის შიგნით რაც ხელისუფლებამ ქართველებს დაგვმართა, იგივე უქნა მოკავშირეებსაც და ამით რუსეთს მთლიანად ხელ-ფეხი გაუხსნა, ანუ მან საკუთარი ერივით მოატყუა მოკავშირეები.

**— მაგრამ რუსეთთან მთლიანად ჩატეხა ხიდი, ეს არ იყო შეცდომა?**

— რა დონეზე ჩატეხეს, ეს კიდევ სერიოზული სადისკუსიო საკითხია. რუსეთთან ურთიერთობის პრობლემა კონცეპტუალურია. სხვათა შორის რუსეთსაც, რაც არ უნდა სასაცილოდ ჟღერდეს, თავადაც ვერ ჩამოუყალიბებია, რა უნდა კავკასიაში, ჩვენ ვერ ჩამოგვიყალიბებია, რა გვინდა რუსეთისგან. ასე უაზროდ ვცდილობთ ერთმანეთისთვის თვალების ამოთხრას.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, კარგი იქნებოდა ირანის ჩართვა გაზის მოწოდებაში. ეს რეალურია?**

— ტექნიკურად როგორ განხორციელდება, ჩემთვის ცოტა ძნელი დასანახია. თავისთავად დადებითი იქნება, ნაბუკოს პროექტშიც ირანის ჩართვა და დასავლეთთან ირანის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. ნაბუკო ევროპის პროექტია, და თუ აქამდე ვლაპარაკობდით ამერიკასა და რუსეთზე, შევეგუოთ იმასაც, რომ მესამე მოთამაშესაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. ეს ევროპაა.

**— 9 აპრილი ახლოვდება და ოპოზიციის ერთ-ერთი ბრალდება ხელისუფლების მიმართ ისაა, რომ საქართველომ ფუნქცია დაკარგა რეგიონში, ჩვენი ბედი სხვა ქვეყნებში წყდება, ამიტომ სააკაშვილი უნდა გადადგესო. თქვენც იგივეს ფიქრობთ?**

— მეტ-ნაკლებად რეზონული აზრია. თქვენს დასმულ კითხვას ვეთანხმები. ხელისუფლებამ არ იცის, რა გააკეთოს. ერთი წელი თუ ოცი წელი იქნებიან, არაფერი შეიცვლება, უმეცარი, უწიგნური ხელისუფლება გვყავს, რომლის პრობლემა ხშირად უღირსობით აიხსნება.

**— რას გულისხმობთ?**

— უღირსობა ყველაზე მძიმე და ძნელად ასატანია, ის ჩემთვის ორ სფეროში კონცენტრირდება. განათლებაშიც ძალიან ბევრ ღირსეულ ადამიანს ასე მოექცნენ. უღირსობა განსაკუთრებით თავდაცვის სფეროშია კონცენტრირებული. ოფიცრები უღირსებოებად აქციეს, როცა წინასწარ წაგებულ ომში გაუშვეს, სადაც მათმა მეთაურებმა არაფერი არ იცოდნენ, და კიდევ უღირსობაა, როცა ამის გამართლებას ცდილობენ

**— ქვეყანაში დაძაბულობის ფონზე რუსეთთან ომი ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— არა, 03-ზე თუ არ გადარეკეს მოსკოვში.

**თორნიკე შანიძე**

## სამართალი ქართულად

# აკადემიკოს ვახანიას კურსელიც დააკავეს!

**იარაღებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვის მოტივით ზუგდიდში მოქალაქეთა დაჭერები, ზოგჯერ სამართლიანადა, ზოგჯერ უსამართლოდ, აქტიურად მიმდინარეობს.**

ამ დღეებში, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის მოტივით, სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ზუგდიდელი თენგიზ კალანდია. „ოფიციალური" ცნობით, მის მიმართ ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, შარვლის უკანა ჯიბეში უპოვეს უკანონოდ შეძენილი და შენახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 1,3962 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი" და ერთი დაფასოებული „ჰეროინის" შემცველი ნივთიერება — 2,5321 გრამი ფხვნილი!

თენგიზ კალანდია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები მას ჯიბეში პოლიციამ ჩაუდო. მისი დაჭერა უკავშირდება აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიასთან მეგობრობას. ვლადიმერ ვახანია კი სამი კვირის წინათ, ზუგდიდში, საკუთარ სახლში დააკავეს „იარაღების შეძენა-შენახვის" ბრალდებით.

თენგიზ კალანდიას ადვოკატის გურამ ყუფუნიას (ის ვლადიმერ ვახანიას ადვოკატიცაა) განმარტებით თენგიზ კალანდიას ნარკოტიკის ზემოქმედების არავითარი კვალი არ აღმოაჩნდა. „თუ ნარკომანი არა ხარ, მაშინ გამსაღებელი უნდა იყო! გასაღების ფაქტი კი არ არსებობს! გამოძიება დაწყებულია — თითქოს მან შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკებს! ამ შემთხვევაშიც ხომ უნდა იყოს ცნობილი, თუ ვისგან შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება?" — **აცხადებს გურამ ყუფუნია, რომელიც, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, კალანდიასთვის ორთვიანი პატიმრობის მისჯის შესახებ — ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.**

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი**

## ინფორმაცია

# მდუმარე აქცია განათლების სამინისტროსთან

**„ერთიანმა სტუდენტურმა ალიანსმა" სწავლის საფასურის განახევრების მოთხოვნით განათლების სამინისტროსთან მდუმარე აქცია გამართა.**

**როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ჩიტაძემ აქციაზე განაცხადა, სტუდენტების მოთხოვნაა სწავლის საფასურის განახევრება.**

**მისი თქმით, 4 აპრილს აღნიშნული მოთხოვნით განათლების სამინისტროსთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდნენ, მაგრამ სამართალდამცველებმა და თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელმა გიორგი გეგეჭკორმა ამის საშუალება არ მისცეს და განაცხადეს, რომ თუ აქცია ხმაურიანი იქნებოდა, აუცილებლად დაარბევდნენ.**

**ლევან ჩიტაძის განცხადებით, თბილისის საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შესრულდა და მდუმარე აქცია გამართეს.**

**აქციაში მონაწილეებს პირზე ე.წ. სკოჩი ჰქონდათ აკრული, ხმის გამაძლიერებელზეც ე.წ. სკოჩი იყო მიკრული.**

ინტერპრესნიუსი

„იავნანამ“ რაც ჰქმნა...

# ახდენილი ოცნება, რომელზეც მანამდე ოცნებაც არ შეეძლო...

## როგორ აქცია კონკია-ელზას ზღაპარი ფონდმა „იავნანამ“ რეალობად

***გურიაში, სოფელ ნაგომარში წიტაიშვილების მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს. 84 წლის ბებია, 42 წლის ვაჟიშვილი და მისი შვიდი შვილი. უფროსი ბიჭი 21 წლისაა, ხოლო ყველაზე პატარა – 4 წლის. ბავშვის დედა მეორე არაფორმალურ ქორწინებაშია და არავინ იცის, სად არის ამჟამად.***

***ცხოვრობდნენ უღარიბესად, მიწურ ოროთახიან „ქუხნა სახლში“, რომელსაც სახურავიდან წყალი ჩამოსდიოდა, არც იატაკი ჰქონდა, არც სველი წერტილი და აბაზანა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ოჯახის ბიუჯეტი მხოლოდ ბებიას პენსია იყო. რადგან საბუთები და საჭირო დოკუმენტაცია წესრიგში არ ჰქონდათ (დაბადების, პირადობის მოწმობები) ვერც ერთ სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამაში ვერ მოხვდნენ.***

მამა მეზობლებს დღიურ სამუშაოზე ეხმარებოდა, თუმცა ოჯახში შემოსავალი არ შემოჰქონდა. დედის მაგივრობას კი 17 წლის ელზა სწევდა, და-ძმაზე ზრუნავდა, თუმცა სარეცხი საშუალებების უქონლობის გამო ჯეროვან სისუფთავეს ვერ იცავდა.

იყო ასე დაკონკილი ჯერ კიდევ ბავშვი გოგო, რომელსაც უკვე კარგად ესმოდა, რა მძიმეა ქალის ტვირთი, ხოლო ხშირად რა უსამართლოა ცხოვრება და არც კეთილ ფერიას ელოდებოდა ოდესმე, მხოლოდ ხედავდა, როგორ დაძრწოდნენ მგლები „ქუხნის“ სიახლოვეს პირქუშ ღამეში. წერა-კითხვა კი იცოდა, მაგრამ ბევრი შრომისა და ჯაფის გამო სკოლაში ვერ დადიოდა, არც „კონკიას“ ზღაპარი წაუკითხავს...

**ერთ მშვენიერ დღეს მისი ოჯახის ცხოვრება შეიცვალა. 2009 წლის 3 მარტს საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ ოჯახს ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი გადასცა საჩუქრად. საბუთების პრობლემაც მოუგვარა, სურსათ-სანოვაგისაც...**

**ელზას ოცნება ახდა, ის ოცნება, რომელზეც უბრალოდ ოცნებაც კი ვერ წარმოედგინა.**

მოკლედ, ეს XXI საუკუნის ერთი ქართული ოჯახის ამბავია, მაგრამ ასეთები არიან კახეთშიც, სამეგრელოშიც, იმერეთშიც... ოჯახები, რომლებსაც გაუსაძლის პირობებში უწევდათ ცხოვრება, მაგრამ საზოგადოების თანადგომითა და დახმარებით ცხოვრების წესი შეეცვალათ. ამაში კი უდიდესი წვლილი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მიუძღვის.

**„იავნანას“ ამბავი კი ხუთი წლის წინათ, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე დაიწყო.** გაეროს სასურსათო ფონდის საქართველოს ორგანიზაციამ მომღერალს სთხოვა იმ საღამოს გაეხმიანებინათ ყველა ის დახმარება, რასაც ჩვენს ქვეყანაში ახორციელებდა ეს ორგანიზაცია. ისინი დღესაც ეხმარებიან გაჭირვებულ ოჯახებს და წევრთა რაოდენობის შესაბამისად ყოველთვიურად ურიგებენ ფქვილს, შაქარსა და ზეთს.

საღამოს შემდეგ ბატონი პაატა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში წაიყვანეს, ნანახით აღშფოთებულმა და შეძრწუნებულმა მომღერალმა კი ფონდის შექმნა გადაწყვიტა. პირველი ქველმოქმედი თვითონვე გახდა. მან ბავშვთა სახლიდან სრულწლოვანი ასაკის გამო წამოსულ შეყვარებულ წყვილს ვაზისუბანში ბინა უყიდა...

მას შემდეგ „იავნანამ“ უცხოეთსა და საქართველოში 33 საქველმოქმედო საღამო გამართა, 36 სოციალურად დაუცველ ოჯახს შეუძინა სახლი და 205 ბავშვი დაუბრუნა მშობლებს.



სამწუხაროდ, კიდევ 5 ათასამდე ბავშვი ელოდება საკუთარ ოჯახში დაბრუნებას და კიდევ უფრო სამწუხაროდ, მათგან 150-ს არც დედა ჰყავს და არც მამა. ხუთი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ალბათ, საზოგადოების მუდმივი, დაუღლელი ზრუნვა თუ შეუცვლის და გაუფერადებს პატარებს შავთეთრ ყოფას.

„იავნანას“ ხუთი წლის იუბილემ, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში დედის დღეს გაიმართა, ადამიანთა სიკეთისა და გულთბილობის კულმინაცია გამოავლინა. 3 მარტს გალა-კონცერტზე, გრანდიოზული ტელემარათონით სამი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის უნდა გადაეცათ ბინის გასაღები, მაგრამ საზოგადოების აქტიურობის წყალობით თანხამ მოსალოდნელს ბევრად გადააჭარბა – 162 ათას 841 ლარი ჩაირიცხა ფონდში.

ექვსი შვილის დედა მაია გოჩიტაშვილი გულისფანცქალით ელოდა ტელემარათონის დასრულებას. დედა სამ შვილთან ერთად სიღნაღის რაიონის სოფელ მაშრაანში ცხოვრობდა, ოღონდ არა საკუთარ სახლში, არამედ ერთ ოთახში. დანარჩენი შვილები ბოდბის სკოლა-პანსიონში იზრდებოდნენ და დედის სიშორეს განიცდიდნენ. მაგრამ „იავნანამ“ მათაც აუსრულა ოცნება და დედასთან ერთად საკუთარ თბილ ბინაში დააბრუნა.

წალენჯიხაში მცხოვრებ ანა, ნანა და შალვა კვარაცხელიებს, რომლებიც ბავშვთა სახლში იზრდებოდნენ მათი მოგვარე ბიზნესმენი ვალერი კვარაცხელია მოევლინა მფარველად და მათივე სოფელში ორსართულიანი კომფორტული სახლი შეუძინა.

**მაგრამ ბატონ პაატა ბურჭულაძეს კარგად ახსოვდა, რომ კიდევ ბევრი ბავშვი ელოდება „იავნანას“ წყალობას... ახსოვდა, რომ ბავშვთა სახლში მოხვედრილი ერთი და-ძმა თავის ულუფას ბოლომდე არ ჭამდა და ყოველ საღამოს მათ სანახავად მოსულ დედას უნახავდნენ.**

ამიტომ საიუბილეო საღამოს დამთავრებისთანავე, აეროპორტში წასვლამდე შეკრიბა ფონდის გამგეობა და გადაწყდა, კიდევ ოთხი ოჯახისთვის შეეძინათ ბინა. ორგანიზატორები მათ ვინაობას ჯერ არ ახმაურებენ, რადგან 6 მაისს, კვლავ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე კიდევ ერთი სევდანარევი სიხარულის საღამო ელოდება მაყურებელს. ამ ოთხ ოჯახს სწორედ ის ადამიანები გადასცემენ გასაღებს, რომლებმაც ყველაზე მეტჯერ დარეკეს 30-30-ზე და ოცნება აუხდინეს პატარებს.

ფონდ „იავნანას“ ქველმოქმედება ამით არ შემოიფარგლება. აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ, ობლად დარჩენილ 123 ბავშვს ერთი წლის მანძილზე ყოველთვიურად 70 ლარით დაეხმარება. ნიჭიერ, სოციალურად დაუცველ 26 სტუდენტს სტიპენდიებით ეხმარებიან, მათგან პიანისტი დავით ალადაშვილი პირველი ქართველია, ვინც „იავნანას“ თანადგომით 2007 წელს ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლაში ჩაირიცხა. ბავშვთა სახლებს 44 პერსონალური კომპიუტერი გადასცა. **აგვისტოს ომის გამო უდედმამოდ დარჩენილი დიტო რაზმაძე კი ფონდის შვილობილი გახდა. მას უკვე შეუძინეს გორში ბინა, ხოლო 18 წლამდე დიტოს „იავნანა“ აბსოლუტურად უზრუნველყოფს.**

არსებობს „იავნანას სამეგობრო“ – ანუ სტაბილური შემოსავლის მქონე ადამიანი ერთ კონკრეტულ ოჯახს ყოველთვიურად ეხმარება. ამ აქციის წყალობით საინტერესო და მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა ქველმოქმედებსა და ოჯახის წევრებს შორის. ერთ-ერთი პირველები იყვნენ ნიკა მემანიშვილი, ნატო მეტონიძე, ზაზა ვეფხვაძე...

## პაატა ბურჭულაძე მსოფლიო კრიზისს არ ეპუება

**გლობალური კრიზისი ირიბად მაინც შეეხო „იავნანას“, თუმცა როგორც ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ახალაია ამბობს, ბატონი პაატა მსოფლიო კრიზისს არ ეპუება. ის სამაისოდ ემზადება, ქართველი მაყურებელი პაატა ბურჭულაძესთან და თამარ ჯავახიშვილთან ერთად იხილავს მსოფლიოში აღიარებულ ბარიტონს, გოლიათური ფიზიკური აღნაგობისა და ასეთივე ხმის მქონე ამბროჯიო მაესტის.**







ყველაზე ღვთიური საქმე მართლაც რომ ქველმოქმედებაა. საზოგადოებამ ამ სასიამოვნო საღამოსაც ისევე უნდა გამოიჩინოს გულმოწყალება, როგორც 3 მარტს, როცა ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოგზავნა ბოლო ლარი და ამ ლარით შეძლო ბავშვთა სახლში მყოფი პატარებისთვის იმედის ჩუქება. „იავნანას“ სიაში კიდევ 100-ზე მეტი ოჯახია, რომელიც თბილ სახლს ელოდება.

**ავუხდინოთ მათ ოცნება, დავუბრუნოთ პატარები ოჯახებს!**

დარეკეთ: 30-30!

**თეა მოსია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველი მარგარეტ ტეტჩერი



**ნინო ბურჯანაძე — ქართული პოლიტიკის ქალის სახეა. მან ჩვენ თბილისში თავის სამუშაო კაბინეტში მიგვიღო. იგი გვიამბობდა, თუ როგორ ცხოვრობს, როგორ უვლის თავის ოჯახის ყვავილებს, ისვენებს პარტიული საქმეებისგან.** მაგრამ საუბრის უმეტესი ნაწილი ქართული ოპოზიციის ლიდერთან, რასაკვირველია, პოლიტიკაზე იყო. მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზეც.

9 აპრილი შემთხვევით როდია არჩეული — ეს არის საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღესასწაული, ხსოვნა სისხლიან მიტინგზე, რომელიც დაარბიეს 20 წლის წინათ.

*— ქალბატონო ნინო, რა ადგილი განეკუთვნება თქვენს პარტიას 9 აპრილისთვის დასახულ ღონისძიებებში?*

— ჩვენი პარტია არა მხოლოდ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ამ აქციებში. ჩვენ ამ აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორები ვართ. იმიტომ, რომ მიგვაჩნია, ქვეყანა იმყოფება ღრმა კრიზისში, სჭირდება სასწრაფო ცვლილებები. ხალხში ნეგატიური მუხტი ძალიან მაღალია. დარწმუნებული ვარ, რომ 9 აპრილს ძალიან ბევრი ხალხი გამოვა ქუჩაში.

*— თქვენმა პარტიამ გაიანგარიშა ყველა შესაძლებელი შედეგი?*

— შემიძლია მხოლოდ ერთი რამის თქმა: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა აქცია იყოს მშვიდობიანი და არ დავუშვათ პროვოკაცია მთავრობის მხრიდან.

*— გვიამბეთ, თუ როგორ ადევნებდით თვალყურს აგვისტოს მოვლენებს სამხრეთ ოსეთში?*

— მე იქ არ ჩავსულვარ, მაგრამ ვღებულობდი ინფორმაციას მოვლენების შესახებ ადგილზე: იქ იმყოფებოდნენ ჩემი მეუღლე და ვაჟიშვილი, აგრეთვე ჩემი თანამზრახველები. ჩვენ ვუყურებდით ტელევიზორსაც და საერთაშორისო ახალ ამბებსაც. ეს იყო მეტად ტრაგიკული დღეები საქართველოსთვის. მათ ჩვენ კატასტროფულ შედეგამდე მიგვიყვანეს.

*— თავად თქვენში რა შეიცვალა ამ ომის შემდეგ?*

— ეს იყო შოკი. სწორედ ამ ამბებმა მაიძულეს შემექმნა პოლიტიკური პარტია. როდესაც პარლამენტიდან წამოვედი, ჩვენ შევქმენით დემოკრატიული განვითარების ფონდი, ვაპირებდით, როგორც მინიმუმი, გვემუშავა ორი-სამი წელი და აქტიურად არ ჩავბმულიყავით პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ აგვისტომ გვიჩვენა, რომ არავის აქვს უფლება, ვისაც გააჩნია სერიოზული პოლიტიკური გამოცდილება, იდგეს განზე!

*— თქვენი თვალსაზრისი რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობაზე?*

— უეჭველია, ეს სრულიად არანორმალური ურთიერთობაა. სიტუაცია არ შეიძლება დარჩეს ასეთი. საჭიროა დიალოგი, საჭიროა აქტიურად ველაპარაკოთ რუსეთს რამდენადაც რთული არ უნდა იყოს ეს. მაგრამ არის პრინციპები, რომლებიც სრულიად ურყევია საქართველოსთვის, — ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, მისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. მაგრამ ურთიერთობის ნორმალიზაციის იმედი შეიძლება გვქონდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთიც ასევე გაითვალისწინებს ამ პრინციპებს. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის უგულებელყოფა ნებისმიერ მოლაპარაკებას ჩიხში შეიყვანს.

*— თუ არის რაიმე ნიშანი ურთიერთობათა დათბობისა?*

— ამჟამად არავითარი წინასწარი პირობა არ არის და არც შეიძლება იყოს.

„ვარდების მეორე რევოლუცია“ აღარ იქნება!

**მარინა ხეგეი**

КАРАВАН

---

# ქართველები რუსებისა და სააკაშვილის წინააღმდეგ

**9 აპრილს თბილისში დაიწყება საპროტესტო აქცია, რომელსაც ბევრი უკვე ახალ ქართულ რევოლუციას უწოდებს. იგი გაიმართება საქართველოსთვის ნაცნობ ადგილას — რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტთან.** აქ ზუსტად 20 წლის წინათ საბჭოთა ჯარებმა დაუნდობლად ჩაახშვეს გამოსვლები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. აქ 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პირველად „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გამოიყენა სააკაშვილის ოპოზიციონერების წინააღმდეგ ძალა. რას ელოდება საქართველოს ოპოზიცია 2009 წლის 9 აპრილს?

„ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს, როგორც 2003 წელს“.

9 აპრილი — ესაა მაშინდელი მოვლენების 20 წლისთავი, როდესაც საბჭოთა ჯარების დარბევის შემდეგ საქართველოს პარლამენტის შენობასთან დაიღუპა 18 კაცი, ათობით დაიჭრა. ეს დღე გახდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლო. ამჯერად ეს დღე გახდება სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო.

იმის თქმა, რომ ქვეყანაში სიტუაცია 9 აპრილის წინა დღეებში დაძაბულია — ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი თქვა. საქართველოს ტელეეთერი დაძაბულია უკიდურესობამდე: ყველა ტელედებატებსა და პოლიტიკურ თოქ-შოუებში განიხილავენ 9 აპრილს. ხშირად გაისმის შედარება 2003 წლის შემოდგომასთან, როდესაც ოპოზიციამ ჩამოაგდო შევარდნაძე. ბევრი ცნობილი ქართველი მიდის საქართველოდან ანდა დროებით გაჰყავთ თავიანთი ბავშვები ქვეყნიდან. შინაგან საქმეთა სამინისტრო ტელევიზიით გამუდმებით აფრთხილებს მოსახლეობას, რომ ვითარების პროვოცირების ნებისმიერი მცდელობა დაისჯება კანონის შესაბამისად.

„ქართულ არმაგედონამდე“ ორი კვირით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგა მოულოდნელი ნაბიჯი: დააკავა რამდენიმე რიგითი ოპოზიციონერი პარტიიდან „ერთიანი საქართველოსთვის“. ამ პარტიას სათავეში უდგას პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე. დაკავებულთა სახლებიდან ამოიღეს საბრძოლო მასალები და იარაღი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა კადრები, რომლებზეც ბურჯანაძის მომხრეები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იარაღის შეძენაზე. ერთ-ერთი ოპოზიციონერი პირდაპირ ამბობს: იარაღი გვინდა იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღოთ 9 აპრილს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. თუმცა კადრები გამოიყურება როგორც დადგმული, აუდიტორია მას სერიოზულად აღიქვამს. სიტყვები „გადატრიალება“ და „სამოქალაქო ომი“ უკვე გაისმის ნინო ბურჯანაძის სახელთან დაკავშირებით.

დარტყმა სახელგანთქმულ ქართველ პოლიტიკოსზე შემთხვევითი არ ყოფილა.

შევდივარ პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში. პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ჯერ კიდევ შარშან სპიკერის თავისი კაბინეტი გაცვალა ამ შენობაზე, რომელსაც რამდენიმე სართული უკავია. ბურჯანაძე უკვე ერთი კვირაა, ცდილობს გამოვიდეს სკანდალური სიტუაციიდან, რომელიც დაკავშირებულია პარტიის რიგითი წევრების მიერ იარაღის შესყიდვასთან. განწყობილება ოფისში პესიმისტურია. ბურჯანაძის თანამებრძოლებს აინტერესებთ, თუ კიდევ ვინ დაიჭირეს და შემდეგ ვინ არის რიგში.

აქვე ვხედავ ნინო ბურჯანაძის მეუღლეს — ბადრი ბიწაძეს. იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო მიხეილ სააკაშვილის გუნდში, სათავეში ედგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტს. მაგრამ ნინოს წასვლიდან ძალიან მალე დატოვა თავისი სამსახური. ამჯერად იგი დაპატიმრებას ელოდება. საუბარში თავშეკავებული ყოფილი ჩინოვნიკი უყურებს ტელეეკრანს, სადაც საუბარია იარაღის შესყიდვის ისტორიაზე, მეუბნება, რომ სწუხს მხოლოდ ერთ რამეზე — ასე დიდხანს რომ იყო სააკაშვილთან ერთად.

თავად ბურჯანაძე, რომელიც უფრო საღად და ლამაზად გამოიყურება ოპოზიციონერის როლში, ამბობს, რომ პარლამენტიდან წამოსვლის შემდეგ „თავისუფლად ამოისუნთქა“. ამჯერად იგი სულ აღარ ჰგავს საქართველოს პარლამენტის „რკინის ლედის“, როგორც მას ბევრი უწოდებდა.

ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა არ აპატია მას ოპოზიციაში გადასვლა, რომ მას ნინო მიაჩნია სახიფათო კონკურენტად და ამიტომ ცდილობს გაუსწორდეს მას. ჩემთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ერთი საათი გაატარა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ტეფტის საზოგადოებაში, შემდეგ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან მეთიუ ბრაიზასთან განიხილავდა სიტუაციას ქვეყანაში. ბურჯანაძის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის აქტივიზაცია, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და ევროპაშიც, განსაკუთრებით საგრძნობი ხდება პოლიტიკური ვაკუუმის ფონზე, რომელიც ჩამოყალიბდა მიხეილ სააკაშვილის გარშემო. ანალიტიკოსები და ოპოზიციური პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტს უკანასკნელი თვეების განმავლობაში არ შეხვედრია არც ერთი საერთაშორისო ლიდერი. ამბობენ, რომ მარტში ბრიუსელში ოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტს ზურგი შეაქცია ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რათა არ მისალმებოდა მას.

ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი უკვე ხელს აღარ აძლევს დასავლეთს, როგორც ქვეყნის უშიშროების გარანტი, თუმცა ხელს აძლევს რუსეთს.

— აგვისტომდე სააკაშვილი, რომელსაც ჰქონდა რეალური შესაძლებლობა შეეყვანა ქვეყანა ნატოში და გადაეწყვიტა ტერიტორიული პრობლემები, არ იყო ხელსაყრელი მოსკოვისთვის, — ამბობს ბურჯანაძე. — ახლა კი პირიქითაა: სწორედ ასეთი პრეზიდენტი, რომელმაც მოახდინა თავისი თავის დისკრედიტაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე, ხელსაყრელია რუსეთისთვის.

მე ვიყავი გორშიც და დავრწმუნდი, რომ რუსეთმა საქართველოში ყველაფერი დაკარგა. აქ მე-13 საბავშვო ბაღში ცხოვრობენ ლტოლვილები ომით დანგრეულ ქართულ სოფელ თამარაშენიდან. ეს სოფელი იმყოფებოდა ეგრეთ წოდებულ ქართულ ანკლავში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აქ ომის შემდეგ მთელი ანკლავი გადაიწვა, რათა ქართველები აღარასოდეს დაბრუნებულიყვნენ იქ.

საბავშვო ბაღის ერთ-ერთ მცხოვრებს მიშა მინდოდაშვილს ჯერ ოთხი წელიც არ შესრულებია. თავის დედა სვეტასთან და მამა ომართან ერთად ისინი ცხოვრობენ დიდ ფანჯრებიან ოთახში. მახლობლად გერმანული ფირმა აშენებს კოტეჯებს, სადაც ჰპირდებიან ლტოლვილების შესახლებას. მინდოდაშვილის ოთახში ორი საწოლია, რომლებიც ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა გადასცეს მათ, ასევე ღუმელი და ტელევიზორი მაგნიტოფონით.

სვეტა ვიდეოს რთავს და ეკრანზე ჩნდება კადრები თამარაშენიდან.

— თამარაშენში გაიყვანეს შუქი და გაზი, გააშენეს ლამაზი პარკი, კინოთეატრი და აუზი, — ამბობს სვეტა. — მე არ მჯერა, რომ ეს სააკაშვილმა ააშენა იმისათვის, რომ შემდეგ დაენგრია.

ოპერატორი სოფელს ავტომობილიდან იღებდა, ამიტომ კადრები სწრაფად მისდევენ ერთმანეთს. მიშა დგას ტელევიზორის წინ და ელოდება, როდის გამოჩნდება მისი სახლი. როდესაც ნანგრევები დაინახა, მიშამ იყვირა ხმამაღლა: „აი ჩემი სახლი! ეს დავითის სახლია!“

ლტოლვილად ცხოვრების რვა თვის განმავლობაში მიშას გაუჩნდა ახალი სათამაშოები. ეს არის პისტოლეტები და ტანკები.

— რად გინდა ტანკი? — ვეკითხები მიშას.

— ჩემი სახლი დაანგრია პუტინმა, მე ტანკით მივალ და მოვკლავ იმას, — მიპასუხა ბავშვმა.

ეს ბავშვი რუსეთმა ნამდვილად დაკარგა.

დაკარგა თუ არა ამ ომის შედეგად სააკაშვილმა საქართველო, ნათელი გახდება 9 აპრილს.

**ოლგა ალიონოვა**

Коммерсантъ ВЛАСТЬ

---

## დედამიწის ზურგზე



**ბაღდადში ოთხი დანაღმული მანქანა აფეთქდა. დაიღუპა 14, დაიჭრა 40 ადამიანი**

აფეთქებების ხმა გაისმა ერაყის დედაქალაქის ცენტრში ხალხმრავალ ქუჩაზე ბირჟის შენობასთან, სადაც ბევრი ხალხი იმყოფებოდა. კიდევ ორი ანალოგიური თავდასხმა მოხდა ბაღდადის ბაზრებში ქალაქის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით.

* * *

**ამერიკის პრეზიდენტი ცდილობს კონტაქტები მუსულმანურ სამყაროსთან მოაწესრიგოს თურქეთის მეშვეობით**



ობამა ორი დღის ვიზიტით ჩავიდა ანკარაში, სადაც ისლამისტები მას შეხვდნენ მასობრივი საპროტესტო აქციებით. ეროვნული დროშების ფრიალით, მანიფესტანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს „ობამა, წადი სახლში“. თურქეთის სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ უკვე მოახერხეს თეთრი სახლის მეთაურზე თავდასხმის თავიდან აცილება.

* * *

**კიმ ჩენ ირი კმაყოფილია თანამგზავრის გაშვებით, იტყობინებიან ჩრდილოეთ კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილოეთ კორეა უარყოფენ ინფორმაციას თანამგზავრის ორბიტაზე წარმატებით გაშვების შესახებ. ტოკიოში ეჭვი ეპარებათ, ჰქონდა თუ არა საერთოდ გაშვებულ რაკეტას კოსმოსური აპარატი. იაპონიის მხარის მონაცემებით, თანამგზავრის გაშვების საბაბით ფხენიანმა გამოსცადა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა.



* * *

**საპარლამენტო არჩევნებში მოლდოვაში ლიდერობენ კომუნისტები**

დათვლილია ხმების თითქმის 95 პროცენტი. კომუნისტების მმართველმა პარტიამ მოაგროვა 49,92 პროცენტი. ლიბერალურმა პარტიამ — 12,9 პროცენტი, ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ — 12,24, ალიანსმა „ჩვენი მოლდოვა“ — 9,87 პროცენტი. ეს საშუალებას აძლევს კომუნისტებს, შეინარჩუნონ პარლამენტში უმრავლესობა და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მთავრობა. ოპოზიცია ემზადება საპროტესტო აქციებისთვის.

* * *

**იტალიაში მოხდა 6,3 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა: დაღუპულთა რაოდენობა იზრდება, ბევრი ნანგრევებშია ჯერ კიდევ**

ორი ძლიერი მიწისძვრა შეიგრძნეს რომის მცხოვრებლებმა — მიწის ზედაპირის რყევები გრძელდებოდა თითქმის 10 წუთის განმავლობაში. სახლების ზედა სართულებზე ირყეოდა ჭაღები და მსუბუქად გადაადგილდებოდა ავეჯი. აკვილში ზოგიერთი სახლი დაინგრა, არიან დაღუპულები და უგზოუკვლოდ დაკარგულები.



**26.12.2008 წლის კომპანია თბილისის კერძო არბიტრაჟის №3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული და გაზეთ „24საათის“ (№292) გამოქვეყნებული თბილისის კერძო არბიტრაჟის დებულებაში 06.04.2009 წლის №4 გადაწყვეტილებით დებულებაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

პირველი მუხლის 1.6 პუნქტში ბოლოდან მე-3 სიტყვა “გამო“ შეიცვალოს “შემდგომი“-ით.

ამავე მუხლის 1.13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საარბიტრაჟო ხარჯები: საარბიტრაჟო მომსახურების გადასახადების ერთობლიობა.“

მეორე მუხლის 2.4 პუნქტში სიტყვები „ამ დებულებას“ შეიცვალოს „ამ დებულებით დადგენილ გონივრულ ვადებსა და მართლმსაჯულების კანონმდებლობით დადგენილ ძირითად პრინციპებს“.

მეორე მუხლის 2.5 პუნქტს დაემატოს: „თუ მხარეები არ ითხოვენ შეთანხმების ნორმების გამოყენებას“.

მეორე მუხლის 2.7 პუნქტს დაემატოს: „მხარეებს შეუძლიათ ასევე გაიხმონ პრეტენზია საარბიტრაჟო სხდომამდე, ან თუ მეორე მხარე მას დაეთანხმება“.

მესამე მუხლის 3.4 პუნქტს დაემატოს „საარბიტრაჟო უწყების, პრეტენზიის, შეტყობინების ან პრეტენზიის წარმოებაში მიღების განკარგულების მიღებიდან 3 დღის ვადაში. ვადაში განუცხადებლობა ჩაითვლება არბიტრის არჩევაზე უარის თქმად, ასეთ შემთხვევაში არბიტრს დანიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე, ან გააგრძელებს უკვე დანიშნული არბიტრი“.

მესამე მუხლის 3.4 პუნქტს დაემატოს: „ან პრეტენზიაზე რეზოლუციის დადებით ნიშნავს არბიტრს, და ატყობინებს მოპასუხეს“.

მეოთხე მუხლის 4.4 პუნქტში სიტყვები „10 დღის ვადაში“ შეიცვალოს: „3 დღის ვადაში“.

მეხუთე მუხლის 5.1 პუნქტი შეიცვალოს: „საარბიტრაჟო ხარჯებს შეადგენს საქმის განხილვისთვის საჭირო ყველა დანახარჯი, რომელიც შედის საარბიტრაჟო გადასახადში“.

მეხუთე მუხლის 5.2 პუნქტს დაემატოს: „ასევე მოგებას“.

მეხუთე მუხლის 5.3 მუხლს დაემატოს: „სპეციალური გადასახადი იხდევინება არბიტრაჟის განკარგულებით, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილებაში. მხარე ვალდებულია გადაიხადოს ასეთი გადასახადი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და სხვა მიზნების განხორციელებისათვის“.

მეექვსე მუხლის 6.4 პუნქტი შეიცვალოს: არბიტრაჟი უფლებამოსილია შეწყვიტოს ან შეაჩეროს საქმისწარმოება, საარბიტრაჟო გადასახადის გადახდამდე, რაც ფორმდება განკარგულებით“.

მეექვსე მუხლის 6.1 პუნქტის პირველი წინადადება შეიცვალოს: „საარბიტრაჟო გადასახადი განისაზღვრება ამ დებულებითა და/ან არბიტრაჟის თავმჯდომარის წერილობითი შეთანხმებით საქმის სირთულისა და დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, რაზეც ოფერტი და/ან მასზე აქცეპტი განხორციელებულ უნდა იქნეს პრეტენდენტსა და არბიტრაჟს შორის არაუმეტეს 10 დღის ვადაში პრეტენზიის წარდგენიდან. ჩვეულებრივ საარბიტრაჟო გადასახადი შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1,5%-ს“

მეექვსე მუხლის 6.1 პუნქტის მეორე წინადადება ამოღებულ (გაუქმებულ) იქნეს.

მეექვსე მუხლის 6.2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები გაუქმებულ იქნეს.

მეშვიდე მუხლის 7.2 პუნქტს დაემატოს: „მარტივი საქმის განხილვა არბიტრს შეუძლია ორი კვირის ან უფრო მცირე ვადაში, თუ უწყების ჩაბარების და სხვა გარემოებები აღნიშნულს ხელს უწყობს“.

მეშვიდე მუხლის 7.3 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „გამონაკლისი ყოველთვის შეუძლია დაუშვას არბიტრს, თუ საქმის ვითარებიდან გამომდინარე ეს აუცილებელია“.

მერვე მუხლის 8.10 პუნქტს დაემატოს: „თუ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ვერ დგინდება, ალტერნატიულად ზემოთ მითითებულისა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები პუბლიკაციის წერით გამოქვეყნებაზე“.

მეცამეტე მუხლის 13.2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს: „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

მეთვრამეტე მუხლს დაემატოს 18.2 პუნქტი: „18.2 საქმის გადაცემა არბიტრაჟის დანიშნულ თავმჯდომარეზე, ან დანიშნულ არბიტრზე, მსგავსად არბიტრის დანიშვნის წესისა, ფორმდება კომპანია „თბილისის კერძო არბიტრაჟის“ თავმჯდომარის რეზოლუციით, ან განკარგულებით“.

ოცდამეთერთმეტე მუხლის 31.1 პუნქტს დაემატოს: „ე“ ქვეპუნქტი: „ე) პრეტენდენტმა არ გადაიხადა საარბიტრაჟო გადასახადი“.

არბიტრაჟის დებულების 3.9 3.7 4.9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

კომპანია „თბილისის კერძო არბიტრაჟი“.

ტელ: 36-34-21, მის: თბილისი, დოლიძის 48

## ინფორმაცია

### „ტახტი უჩვენოდ გაიყავით!“

**აფხაზეთიდან** დევნილები საქართველოს პოლიტიკური მხარეების დღევანდელ მოღვაწეობას „მკრეხელობად“ აფასებენ და როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას საზოგადოების ინტერესების ფეხქვეშგათელვაზე უარის თქმისკენ მოუწოდებენ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „თოლიადან“ აცნობეს ისინი მიმართავენ პოლიტიკურ მხარეებს „გონს მოეგონ და საერთო ენა გამონახონ“.

ტახტი უჩვენოდ, საზოგადოების გარეშე გაიყავით, ოღონდაც მტრის გასახარად ნუ იმოქმედებთ. ნუ გვიწყენთ, თუ ის საშინელი მკრეხელობა, რომელსაც დღეს ჩადიხართ ჩვენთვის მიუღებელია. მოგმართავთ, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას, თქვენგან ქართველი ხალხი წინსვლას ელის, მათი ინტერესების ფეხქვეშ გათელას კი არ გაპატიებთ, — ნათქვამია მიმართვაში.

ХО-ЭОБ-ЭБО

## დაზუსტება

გაზ. საქართველოს რესპუბლიკის 2009 წლის 4 აპრილის ნომერში, მე-11 გვერდზე გამოქვეყნდა შპს „რთველი XXI“-ის განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ, სადაც გაიპარა შეცდომები: კერძოდ, მესამე პუნქტში „ბე“ 30000 აშშ დოლარის ნაცვლად უნდა იყოს 300000 აშშ დოლარი.

მთლიანი ქონების საწყისი ღირებულება შეადგენს 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს.

განცხადების მიღება იწარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 21 აპრილის 17 საათამდე. ტელ: 891 15-57-09.

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 21 აპრილს 14:00 საათზე, ვანში, თავისუფლების №65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსს „ტობანიერის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ელ.წისქვილი (ტობანიერში), აშენებულია ბლოკით – 45 კვ.მ. – შეფასებულია – 800 ლარად;
2. ელ.წისქვილი (კოშიბოურში) – 16 კვ.მ. – შეფასებულია – 800 ლარად;
3. ხის შენობა (ბიბლიოთეკა) – 50 კვ.მ. – შეფასებულია – 2500 ლარად;
4. სასუქის გამფანტავი – შეფასებულია – 100 ლარად;
5. ავტომობილი „ზილ-131“, სარეგისტრაციო №70-41 – შეფასებულია – 1000 ლარად;
6. ტრაქტორი „მტზ-80“-ის მისაბმელი – შეფასებულია – 500 ლარად;
7. ტრაქტორი „მტზ-80“, სარეგისტრაციო №74-60 – შეფასებულია – 3000 ლარად;
8. ავტომობილი „გაზ-53-12“, სარეგისტრაციო №დაგ978 – შეფასებულია – 3000 ლარად;
9. ავტომობილი „გაზ-52-04“, სარეგისტრაციო №65-32 – შეფასებულია – 2000 ლარად;
10. ავტობუსი „კავზ-685“, სარეგისტრაციო №70-39“ – შეფასებულია – 250 ლარად;
11. ავტომობილი „გაზ-5201“ – სახ №72-08 – შეფასებულია – 350 ლარად;
12. ავტომობილი „გაზ-52-04“, სარეგისტრაციო №დაპ-072 – შეფასებულია – 2000 ლარად;
13. ავტომობილი „ზილ-130“, სარეგისტრაციო №72-07“ – შეფასებულია – 1200 ლარად;
14. ტრაქტორი –ტ-150 „კ“, სარეგისტრაციო №74-16 გლ – შეფასებულია – 4000 ლარად;
15. ტრაქტორი „ბელორუსი – მტზ-80-01“ – შეფასებულია – 150 ლარად.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 21650 (ოცდაერთიათას ექვსასორმოცდაათი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 21 აპრილს 13:00 საათზე, ვანში, თავისუფლების №65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსს „ბზვანის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. თვითმცლელი ავტომობილი „მაზ-45021“, გამოშვებული 1984 წელს, ძრავის №605708, შასი №2289538 – შეფასებულია 5000 ლარად;
2. კანტორის შენობა, ორსართულიანი, აშენებულია ქვით, აგურითა და ბლოკით – 442 კვ.მ. – შეფასებულია – 15000 ლარად;
3. ფერმის ბინა, ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკითა და რკინა-ბეტონის ფილებით – 1669 კვ.მ. – შეფასებულია – 70000ლარად;
4. შესაწამლი აპარატი „ოჰ-1200“ – შეფასებულია – 150 ლარად.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 90150 (ოთხმოცდაათიათას ასორმოცდაათი) ლარს.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**

## წარსული

# საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი

## როცა წმინდა საფლავებს მიღმა ჩვენი ნამდვილი სამშობლოა


მარო მაყაშვილი

**ოცი წლის წინანდელი საცხრააპრილო ამბოქრებაზე, ქართული სულის აღზევებაზე ფიქრისას, როცა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ჩვენი ერისა რუსი სალდაფონების ნიჩბებმაც ვერ დააცხრო, შეუძლებელია გონებაში არ წამოტივტივდეს სახება და გვარ-სახელი იმ გულმხურვალე მამულიშვილებისა, რომლებსაც, კარგა ხნით ადრე, გულის კოვზზე ეწერათ სამშობლოსთვის თავდადება, ოცნებობდნენ, რომ საკუთარ, თავისუფალ ქვეყანაში ეცხოვრათ, ეღვაწათ და სიცოცხლეც კი შესწირეს უმაღლეს იდეალებს...** ბევრნი იყვნენ ისინი – მათ შორის ქალბატონებიც – ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსენი – უშიშარნი, გაუტეხელნი... ამ ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ცნობილი კინორეჟისორის, დოკუმენტალისტის, საქართველოს სახელმწიფო და ალბერტ შვაიცერის პრემიების ლაურეატის **გია ჭუბაბრიას** ფილმს ვუყურე ტელევიზიით, რომელიც ლეგენდად ქცეულ ახალგაზრდა ქართველ ქალს, 1921 წლის თებერვლის ბოლოს ტაბახმელაში დაღუპული მარო მაყაშვილის ხსოვნას ეძღვნებოდა. ნანახმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გადავწყვიტე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ვწვეოდი ბატონ გიას (იგი აქ დოკუმენტური ფილმების კინორეჟისურის სახელოსნოს ხელმძღვანელი, სრული პროფესორია), რათა მოეთხრო თუ როგორ შეიქმნა ეს ფილმი, რამ შთააგონა ეს თემა...

დავურეკე, შევხვდით და ჩვენმა საუბარმა (უფრო სწორად, ბატონ გიას ნაუბარმა) იმაზე მეტი დაიტია, რასაც ველოდი.

– ეს თემა ძალიან მახლობელია ჩემთვის, – მეუბნება ბატონი გია, – მე რეპრესირებული ოჯახის შვილი ვარ, ჩემი ერთადერთი დეიდა ლიზიკო ქავთარაძე, პატრიოტი, დიდი მოქალაქე, ივანე ჯავახიშვილისა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღირსეული მოწაფე, მათი პრინციპების მიმდევარი, 28 წელიწადი იყო დაპატიმრებული საბჭოთა გულაგებში... ჰოდა, მარო მაყაშვილსა და ლიზიკო ქავთარაძეს, მათ თაობას, განა ერთი ბედისწერა არ ერგოთ?!. აი, ეს წიგნი, ჩემო ვილენ, როგორც იქნა, კეთილი ადამიანების დახმარებით, ახლახან გამოვეცი და ამით კარგა ხნის ოცნება ავისრულე, თითქოს ძეგლი დავუდგი ძვირფასი დეიდის ხსოვნას.


გია ჭუბაბრია პატრიარქთან

ბატონი გია მაწვდის წიგნს – **„ლიზიკო ქავთარაძე, 28 წელი გულაგის სისტემაში“,** სადაც მოთხრობილია ქალბატონი ლიზიკოს სულისშემძვრელი ცხოვრების ისტორია – მოგონებები, ფიქრები, ესეები, ჩანახატები... წიგნს უკვე მოჰყვა დიდი გამოხმაურება ჩვენი მწერლებისა, თეატრმცოდნეებისა. მსგავსი წიგნი იმ ავადსახსენებელი რეპრესიების და რეპრესირებულთა შესახებ, ჯერჯერობით, არ დაწერილაო, ამბობს ჩვენი ცნობილი თეატრმცოდნე ვასო კიკნაძე.

ეს იყო განსაკუთრებული თაობა, რომელსაც ქალბატონი ლიზიკო ასე ახასიათებს წიგნის შესავალში:

**„ისიც კარგად ვიცოდით, რომელი დროის შვილები ვიყავით და მაინც დაღუპვისკენ მივისწრაფოდით, რადგან სხვა გზა არ იყო ჩვენთვის. ცეცხლს ვეტანებოდით, ფუჭად ვიწვოდით და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი ხვედრი ფერფლია მხოლოდ. მაგრამ განა ოდესმე ჩამქრალა ჩვენი კერია საქართველოში? მამა-პაპისგან ასე გვჩვევია – კერიის ცეცხლს ვუფრთხილდებოდით, ფერფლში ვახვევდით და ვინახავდით. ნაცრის ქვეშ ღველფი-ღადარი ყოველთვის გვეგულებოდა“.**

**– ბატონო გია, ვინ აღზარდა ქალბატონი ლიზიკო, ვინ ჩაუნერგა მას როგორც გალაკტიონი ამბობს, „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი?“**

– იგი აღიზარდა ოჯახში, ჩემი წინაპრების (დედის მხრიდან) ქავთარაძეების დიდ ოჯახში, სადაც ნიადაგ ეროვნული სული ტრიალებდა. ბაბუაჩემი ქაიხოსრო ქავთარაძე სოციალ-ფედერალისტი, ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის წევრი, რუსეთის ციხეებგამოვლილი კაცი იყო... სხვათა შორის, მეტეხის ციხის საკანში გამომწყვდეულმა ლიზიკომ, კედელზე, ერთ დროს იმავე საკანში მყოფი მამის მინაწერი აღმოაჩინა... იგი აღიზარდა გარემოში, სადაც ყოველ საღამოს ისმენდა რჩეული ქართველი ინტელიგენციის საუბრებს წართმეული სამშობლოს უბედურებაზე... იგი პირველად 1928 წელს დააპატიმრეს, რა და როგორ გამოიარა, ამ წიგნშია მოთხრობილი, და ხრუშჩოვის „ოტტეპელმა“ გაანთავისუფლა... მაგრამ, რამდენი იმსხვერპლა რეპრესიებმა?.. ცნობილი საბჭოთა გენერალური პროკურორის რომან რუდენკოს სიტყვებით, 1921 წლიდან 52 წლამდე საქართველოში რეპრესიების მსხვერპლი იყო 250 ათასი ღირსეული ქართველი...

ლიზიკო ქავთარაძე, მართლაც რომ „სხვა ქალად“ დაიბადა, მაინც იცოცხლა 1988 წლამდე და ამ წიგნს წერდა სიცოცხლის ბოლომდე... ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, მარო მაყაშვილის თემა ჩემთვის მახლობელი იყო, ლიზიკო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ადამ ბობღიაშვილი და სხვები, ბავშვობიდანვე, ჩემი გმირები იყვნენ და, მეც გვარიანი „ანტი“ გავიზარდე...


ლიზიკო ქავთარაძე

**– ეგ არ ვიცოდი, მაგრამ დიდი ეროვნულობითა და სულიერებით ნამდვილად რომ გამოირჩევიან თქვენი ფილმები, ფაქტია. მაგალითად: „თეთრი თორღვაი“, „ომალო“, „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში“, გერმანელებთან ერთად გადაღებული ფილმი „რწმენის აღორძინება“ ჩვენს უწმინდესზე და უნეტარესზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე... მასალა მარო მაყაშვილის ცხოვრებაზე საკმაოდ გვქონდათ?**

– დიდი არაფერი... დარჩა ერთადერთი ფოტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისა, და ბრწყინვალე დღიურები... საერთოდ, მასზე წერა კი არა, ხსენებაც აკრძალული იყო... მოგვიანებით, ქალბატონმა ნანა ღვინეფაძემ დაწერა შესანიშნავი წიგნი... სცენარზე ქალბატონ ნატო ციციშვილთან ერთად ვმუშაობდი. ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდღა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები, მოგონებები... „გვირგვინს დაგიწნავს შენ მომავალი“ – მიმართავდა მაყაშვილის ქალს თავის ლექსში გოგლა ლეონიძე... და მართლაც ასე არ მოხდა?

სასიამოვნოა, რომ ჩვენს გარჯას ქებით იხსენიებენ. მაგალითად, კინომცოდნე ლალი გეგუჩაძე და სხვები... აი, თუნდაც თქვენ რომ მობრძანდით და კეთილ სიტყვას არ იშურებთ...

**– აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა? თანაც, აი, რა წიგნი მაჩვენეთ და რა პიროვნება გამაცანით... სიმართლე გითხრათ, მე არაფერი მსმენოდა ქალბატონ ლიზიკო ქავთარაძის შესახებ... იცოცხლეთ!..**

## დღევანდელობა

# მოციმციმე სანთლების სევდა




**ცხრა სანთელი დაუნთია მერაბ მერაძეს სიყვარულისთვის, დედის, მეგობრების, თანაქალაქელთა ხსოვნისთვის, სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის, ცხრა გულშიჩამწვდომ ლექსში ჩაუტევია სევდა და იმედი, მერე კოპწია კრებულად აუკინძავს და, 9 აპრილის წინა დღეებში, თითო სანთელთან ერთად ჩუქნის საძმაკაცოს, საახლობლოს...**

**გაზაფხულის სურნელი მოგონებებს ამიშლის,**
**ო, როგორ მეშინია სიყვარულის ქარიშხლის!..**

მისახსოვრა მეც – ნაღდი, გულმხურვალე წარწერით და კრებულის გაცნობის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოსდა, ამ ცხრა ლექსით ჩვენმა ძვირფასმა მერაბმა – ცნობილმა ჟურნალისტმა, მწერალმა, პოეტმა, დრამატურგმა ბეჭედი დაუსვა საკუთარ მაღალნიჭიერებას, გულმხურვალე მამულიშვილობას...

ცხრას – ქართველებისთვის საკრალურ რიცხვს, რა თქმა უნდა, თავისი დატვირთვა აქვს... იქნებ, სულაც 9 აპრილის ისტორიულ დღეს მიუძღვნა ეს კრებული ჩვენმა მეგობარმა?! არ მიკითხავს... იგრძნობა კი... მაშ, ცხრათვალა მზის მადლი არ მოჰკლებოდეს მის სამშობლოს!

# ყველას სათქმელს ამბობ ანზორ, მაგრამ „НОЛЬ ВНИМАНИЯ“

**სულაც არ გამკვირვებია ბატონ ანზორ ბაბუხადიას – ცნობილი ეკონომისტის, გაზეთ „თანადგომის“ გამომცემლის, ჭეშმარიტად შესანატრი ქართველი კაცის გაცხარება ჩვენი მშობლიური ქართული ენის აგრერიგად დამახინჯების, ხშირ შემთხვევაში, იგნორირების გამო.**

**აი, რას ამბობს იგი:**

– კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ქართული ენის გადარჩენის პრობლემებზე ბევრი მაქვს ნაფიქრალი და კონკრეტული წინადადებებიც არაერთხელ გამომითქვამს პრესაში და მრავალ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრაზე. სამწუხაროდ, სასურველ შედეგს არა თუ ვუახლოვდებით, არამედ თანდათან, ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვშორდებით.

კერძოდ: რაც დრო გადის ტელერადიო ჟურნალისტების უმრავლესობა ერთმანეთს ეჯიბრებიან დამახინჯებული ქართულით საუბარში. არადა, თავის დროზე სწორედ ტელე-რადიო პროგრამების წამყვანები აძლევდნენ დიდ-პატარას ქართულად საუბრის მაგალითს, რა დაგვავიწყებს, თუნდაც, ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის ლექციებს.

დღეს რას ვხედავთ? ქართველ მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა პრაქტიკულად ხელი აიღო ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნისა და სრულყოფის პრობლემებისადმი ზრუნვაზე. ასეთი დამოკიდებულების შედეგად ქართული სამეცნიერო ენა კარგავს ფუნქციას და იგი მხოლოდ სასაუბრო, საყველპურო ენა ხდება. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, თბილისში ყოველი ახალი ათი ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტიდან რვას საერთოდ არ გააჩნია ქართული წარწერა და სარეკლამო ფირნიში. კიდევ უფრო საგანგაშოა დედაქალაქში ახლახან დამონტაჟებული, ეგრეთ წოდებული, პრესის გავრცელების ჯიხურები. არც ერთ მათგანზე არც ერთი ქართული სიტყვა ან ქართული რეკლამა არ არსებობს. ყოველივე ეს კანონის უხეში დარღვევაა!



სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში, ყველაზე პოპულარული პიროვნებები – მინისტრები, პარლამენტარები, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკები არიან, ამიტომ, ჩემი აზრით, რადიო-ტელევიზიებმა კვირის განმავლობაში უნდა მოაგროვონ მათი საჯარო გამოსვლებიდან მახინჯი ფრაგმენტები და კვირის რომელიმე წინასწარ დათქმულ დღესა და დროს მოსახლეობას წარუდგინონ მათი „შედევრების“ კოლაჟი სათანადო კომენტარებით.

ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ამჟამად პარლამენტარია და მან დიახაც უნდა გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, გამოცდილება და თანამდებობრივი მდგომარეობა, სასწრაფოდ შეკრიბოს ქართული ენის გულანთებული ქომაგების მუშა ჯგუფი და მათი მონაწილეობით, რაც შეიძლება ოპერატიულად შეადგინოს ქართული ენის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამა (თუ საჭიროდ ჩათვლის, რა თქმა უნდა, მიგულოს თავის გვერდით), ამ პრობლემის გადადება ნაღდად აღარ შეიძლება! – **ამბობს ბოლოს ბატონი ანზორი და, ცხადია, ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ეშველება საქმეს?!. ჰაი, ჰაი, რომ ეჭვი გვეპარება!**

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ჭიდაობა

# ერთ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ

**ვილნიუსში დამთავრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობდნენ. უკვე გაუწყეთ, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ბესიკ გუჩაშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ხოლო მესამე ადგილზე მალხაზ ქურდიანი და მალხაზ მუზიაშვილი გავიდნენ.**

„კლასიკოსების“ მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ლიტვის დედაქალაქში თითქმის გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა — შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ტიტულოვანი სპორტსმენები: დავით ბედინაძე, მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია და რამაზ ნოზაძე. ქართველ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან მხოლოდ ხოზელმა მანუჩარ ცხადაიამ (66 კგ) იყოჩალა. პირველ წრეში მან ფინელი იარკო ალა-ჰუიკუ დაამარცხა, შემდეგ ფრანგ სტივ გუენოს, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონს, სძლია, მესამე წრეში უნგრელ ატილა დრეშლერს აჯობა. ნახევარფინალური პაექრობა რუსეთის სახელით მოასპარეზე ქუთაისელ ამბაკო ვაჩაძესთან დათმო (ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ პაექრობაში ბელარუს მიხაილ სემიონოვს დააყრევინა ფარ-ხმალი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა). სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ათენის ოლიმპიადისა და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი აზერბაიჯანელი ფარიდ მანსუროვი (წარმოშობით დმანისელი) დაამარცხა.



დანარჩენ ქართველ „კლასიკოსთაგან“ ლაშა გოგიტაძე (55) და გენადი გოგიშვილი (74) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ, სხვები კი პირველ-მეორე წრეშივე გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

რაგბი



## მეხუთე ადგილის შანსიც დარჩა

**ტულონში გრძელდება 18 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს. ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა მეოთხედფინალური შეხვედრა ინგლისელებთან 3:60 დათმეს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: საფრანგეთი — ბელგია 59:5, იტალია — რუმინეთი 13:27, ირლანდია — რუსეთი 32:5.**

**8 აპრილს ნახევარფინალში ითამაშებენ:** ინგლისი — ირლანდია, საფრანგეთი — რუმინეთი. მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებენ: საქართველო — რუსეთი, ბელგია — იტალია.

კრივი

# ნაკრებში ადგილიც დაიბევეს



**საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 120 მოკრივე მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც დიღომში გაიმართა. სპორტსმენები 11 წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს მედლებს და ქვეყნის ნაკრებში ადგილის დაბევებას ცდილობდნენ.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: სევერიან ჭილაძე (48 კგ., თბილისიძ, მერაბ თურქაძე (51, ქუთაისიძ, გიორგი კილანავა (54, ფოთიძ, თორნიკე კოტრიკაძე (57, ქუთაისიძ, კობა ფხაკაძე (60, ქუთაისიძ, ლევან ღვამიჩავა (64, ფოთიძ, კახა ჟვანია (69, ფოთიძ, ლევან გულედანი (75, თბილისიძ, რევაზ ქარელიშვილი (81, გორიძ, კონსტანტინე მამაგეიშვილი (91, თბილისიძ, მიხეილ ბახტიძე (მძიმე წონა, ქუთაისიძ.

მთავარი მწვრთნელის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები 14-20 აპრილს თურქეთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

კალათბურთი

# აქეთურ-იქითური

**სასიამოვნოა, რომ ეროვნულ ფედერაციაში კარგად ესმით: ქართული კალათბურთი მარტო თბილისი არ არის. ამას ადასტურებს სუპერლიგის შეხვედრების რუსთავსა და ბათუმში გამართვა.**

მართალია, ტალანტების სამჭედლოს — ქუთაისს იმერეთის რეგიონისა და ქალაქის ხელისუფალთა ზედოვლათობის გამო უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს, მაგრამ ვფიქრობთ, რიონისპირეთში „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის ორგანიზებით საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრება.

ეს შოუ დავით უსტიაშვილისა და ლევან მოსეშვილის შეგირდთა სალაღობო ბურთაობით დაიწყო და პირველთა გამარჯვებით — 142:131 დასრულდა.

შემდეგ სარბიელი სამქულიანების კონკურსის მონაწილეებს დაეთმოთ. ფინალში გიორგი მარკოიშვილმა შარშანდელ გამარჯვებულს დავით ბერიშვილს სძლია და სამახსოვრო პრიზის მფლობელიც ის გახდა.

ლონისძიება ბურთის კალათში ჩატენვების კონკურსითა და ძმების — დავით და გიგი ბარბაქაძეების გადამწყვეტი დუელით დაგვირგვინდა, რომელშიც დავითმა იმარჯვა.

* * *

ფიბას ევროთასის (ყოფილი კორაჩისა და ულებისძ მფლობელი „ლიეტუვოს რიტასი“ გახდა, რომელმაც ფინალში მოსკოვის ოლქის „ხიმკი“ დაჯაბნა — 80:74. ბრძოლის ბედი დასკვნითი პერიოდის სტარტზე გადაწყდა, რომელიც ბალტიისპირელებმა 17:0 (!ძ მოიგეს. მათ საგაისო ევროლიგის საგზურიც მოიპოვეს.

* * *

ქალთა ევროლიგის ტრიუმფატორი ზედიზედ მესამედ გახდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, რომელმაც ფინალში ესპანურ „სალამანკას“ სძლია — 85:70. მონიკა ტაურაზიმ 31 ქულა მოაგროვა.



ფეხბურთი

# სტანდარტული კვირა

**კვირას ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XXIV ტურის ცენტრალურ მატჩს თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „ოლიმპს“ შორის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა.**

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღით ადრე ზედიზედ ორი ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ „თეთრ-ლურჯების“ თავკაცმა რაინერ ცობელმა კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით თანამდებობა დატოვა და მშობლიურ გერმანიას მიაშურა, ხოლო გუნდი აღნიშნული თამაშისთვის მისმა თანაშემწემ კახი კაჭარავამ მოამზადა.

დროის ასეთ მცირე მონაკვეთში „კაჭო“, ბუნებრივია, ბევრს ვერ მოასწრებდა, მაგრამ ის კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ წინამორბედის შერჩეულ სტრატეგიულ კურსს ღირსეულად გააგრძელებს. ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველს ის ფაქტი გვაძლევს, რომ ნერგაძემ და ჯუისიმ დილმელაშვილისა და კოშკაძის გადაცემებით ორივე ბურთი სტანდარტული სიტუაციების — კუთხურისა და ჯარიმის გათამაშებიდან ზუსტი თაურით გაიტანეს. სხვათა შორის, სტუმართა აფრიკელმა ლეგიონერმა აკუასაგამაც ანალოგიურ ვითარებაში მოახერხა პრესტიჟის გოლის გატანა — 1:2. ეტყობა, არც ვარლამ კილასონია ზოგავს შეგირდებს ვარჯიშებზე.

**დანარჩენი შედეგები:** „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“ 3:1, „სიონი“ — „მესხეთი“ 2:0, „ბორჯომი“ — „გაგრა“ 1:2, „მგლები“ — „ცხინვალი“ 2:1. ისვენებდა „ზესტაფონი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ — 53, „დინამო“ — 52, „ზესტაფონი“ — 43, „ოლიმპი“ — 42, „სიონი“ — 36, „ლოკომოტივი“, „მგლები“ — 29-29, „მესხეთი“ — 23, „გაგრა“ — 21, „ცხინვალი“ — 15, „ბორჯომი“ — 12 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ზესტაფონი“ — „დინამო“, „ოლიმპი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“ — „მგლები“, „ცხინვალი“ — „ბორჯომი“, „გაგრა“ — „სიონი“. ისვენებს „მესხეთი“.

# ევროპის სტადიონებზე

**ინგლისი. XXXI ტური.** „მანჩესტერი“ — „ასტონ ვილა“ 3:2, „ფულჰემი“ — „ლივერპული“ 0:1, „ნიუკასლი“ — „ჩელსი“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ — 68 (30 თამაშიდანძ, „ლივერპული“ — 67, „ჩელსი“ — 64 ქულა.

**გერმანია. XXVI ტური.** „ვოლფსბურგი“ — „ბაიერნი“ 5:1, „ჰამბურგი“ — „ჰოფენჰაიმი“ 1:0, „ჰერტა“ — „ბორუსია“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰამბურგი“ , „ვოლფსბურგი“ — 51-51, „ჰერტა“ — 49 ქულა.

**იტალია. XXX ტური.** „უდინეზე“ — „ინტერი“ 0:1, „იუვენტუსი“ — „კიევო“ 3:3, „მილანი“ — „ლეჩე“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 72, „იუვენტუსი“ — 63, „მილანი“ — 58 ქულა.

**ესპანეთი. XXIX ტური.** „ვალიადოლიდი“ — „ბარსელონა“ 0:1, „მალაგა“ — „რეალი“ 0:1,„უელვა“ — „სევილია“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 72, „რეალი“ — 66, „სევილია“ — 57 ქულა.

**საფრანგეთი. XXX ტური.** „ლე მანი“ — „ლიონი“ 1:3, „სენტ ეტიენი“ — „მარსელი“ 0:3, „ბორდო“ — „ნანსი“ 1:0.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 59, „მარსელი“ — 58, „ბორდო“ — 56 ქულა.

ხელბურთი

# სამი ერთზე



**ჩემპიონთა ლიგის ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი კლუბი გერმანიას წარმოადგენს: „ჰამბურგი“, „კილი“ და „რეინ-ნეკარი“. მათ მეტოქეობას ესპანური „სიუდად რეალი“ გაუწევს.**

განვლილ ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა ჰამბურგელებს გადახდათ, რომლებმაც თანამემამულეთა „ფლენსბურგთან“ ორრაუნდიანი დუელი მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 28:25 (სტუმრადძ და 29:31 (შინძ.

პირველი შეხვედრის დათმობა მოუხდათ „ჩეხოვსკიე მედვედისთან“ რაინელ ლომებს — 31:33, თუმცა საკუთარ დარბაზში ალემანებმა რუს მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს — 36:28.

რაც შეეხებათ „კილს“ და „სიუდად რეალს“, მათ შესაბამისად ხორვატული „ზაგრები“ და უნგრული „ვეზპრემი“ იოლად ჩამოიცილეს გზიდან.

ფორმულა — 1

# ამინდის კაპრიზები



**ტროპიკულმა წვიმამ და ნისლმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სეპანგის ავტოდრომზე გამართული „ფორმულა-1“-ის მეორე ეტაპის — „მალაიზიის გრან-პრის“ გათამაშების შედეგები.**

მინიმალური ხილვადობის გამო რბოლის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ ასპარეზობა შეეწყვიტათ და უკვე განვლილი 33-წრიანი დისტანციის შედეგები ასეთი თანმიმდევრობით დაეკანონებინათ: 1. ჯეისონ ბატონი. 2. ნიკ ჰაიდფელდი. 3. ტიმო გლოკი.

ბევრისთვის მოულოდნელად, გენერალურ კლასიფიკაციაში 15 ქულით „ბრაუნ-ბმვ“-ს ბრიტანელი პილოტი ჯეისონ ბატონი დაწინაურდა.

# საიდან მოდის XX საუკუნის ჭირი?

შიდსი ადამიანს დასავლეთ ეკვატორულ აფრიკაში შიმპანზესგან შეეყარა. ისევე, როგორც ადამიანის მრავალი ინფექციური დაავადება – ბაქტერიულიც, ვირუსულიც, გრიპიც და შავი ჭირიც – ცხოველებში ცირკულირებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ადამიანზეც შეუძლია „გადმოხტეს“, როგორც, მაგალითად, ატიპური პნევმონია. ასევე მოხდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) შემთხვევაშიც, რომელიც მანამდე შიმპანზეების სისხლში ცირკულირებდა.



შიდსის ეპიდემია XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკაში აღმოაჩინეს, ამიტომ მიაჩნდათ, რომ იგი ამ დროიდან მოყოლებული მოდის. მაგრამ, გენეტიკურმა გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ ვირუსი გაცილებით უფრო ძველია: დაახლოებით ოცდაათი წლის მანძილზე იგი ადამიანის პოპულაციაში ეპიდემიის გამოუწვევლად ცირკულირებდა.

ამის მტკიცების შესაძლებლობას კი 1950-იან წლებში აფრიკაში მიღებული სისხლის ძველი ნიმუშები იძლევა, რომელთა 1990-იანებში ჩატარებულმა ანალიზებმა დაგვანახეს, რომ ერთ-ერთ მათგანი ამ ვირუსის ნიმუშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აივ ადამიანის პოპულაციაში უკვე გასული საუკუნის შუიდან იმყოფება.

შიდსის ეპიდემია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგიანია. 1981 წელს ვირუსის აღმოჩენის დროიდან მოყოლებული მან დაახლოებით 25 მილიონი კაცი იმსხვერპლა. სადღეისოდ მსოფლიოში 33 მილიონი კაცია ინფიცირებული. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპაში ახალი შემთხვევების ორი მესამედი რუსეთზე მოდის, ხოლო თავად რუსეთში ყოველ დღე აივ-ით ასი კაცი ინფიცირდება. ბოლო ორი წლის მანძილზე აივ დაავადების ახალი შემთხვევების 70 პროცენტი ჰეტეროსექსუალურ კონტაქტებზე მოდის, რომელთაგან 90 პროცენტია 24 წელზე ახალგაზრდა, ხოლო რუსეთში ყველაზე მეტი დაავადებულით 100 ათას სულ მოსახლეზე სამწუხარო ლიდერობა ირკუტსკის ოლქს უკავია, სადაც აივ-ით დაავადებულია მცხოვრებთა თითქმის ერთი პროცენტი.

# ფსონს ქალებსა და მოზარდებზე აკეთებენ



ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ თამბაქოს მოწევა მოდურია, მწეველი კაცი თანამედროვედ, ლაღად გამოიყურება... სინამდვილეში კი ეს ასე სულაც არ არის.

პირველები, ვინც დასავლეთში თამბაქოს მოწევაზე უარი თქვა, ეს კარგი შემოსავლისა და კარგი განათლების მქონე მამაკაცები იყვნენ. როგორც კი ამ მოვლენამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ამ წრეში მკვეთრად იკლო კიბოს, ინფარქტებისა და ინსულტების რიცხვმა... თამბაქოს მწარმოებლებმა ყველაზე კარგი მყიდველების მთელი წყება დაკარგეს და სწორედ მაშინ გადაწყვიტეს ორიენტაცია ქალებსა და მოზარდებზე აეღოთ. სწორედ მაშინ გაჩნდა სიგარეტი ქალებისთვის – გრძელი, წვრილი, საუცხოოდ გაფორმებულ კოლოფებში ჩაწყობილი, რომელთა მოხატვა პერიოდულად იცვლება. შედეგად ქალთა მიერ თამბაქოს წევამ სწრაფი ტემპით დაიწყო მატება. ახალგაზრდებისთვის კი ცალკე რეკლამა გაჩნდა. მაგალითად, პლაკატები ლამაზი ბიჭუნების გამოსახულებით და წარწერებით „მე მახსოვს შენი კოცნა“ და ქუდები წარწერებით „მალბორო“, „ვესტი“, „ქემელი“ ...ალბათ, მიხვდებით, რომ თამბაქოს არც ერთი „გასროლა“ მიზანს არ სცდება, ახალგაზრდობა კი თამბაქოს ბოლით იბინდავს ფილტვებს...

# დღეგრძელობის ინდექსი



ვაშლის ან მსხლის ფორმის ტანის მიხედვით სპეციალისტს შეუძლია თითქმის ასპროცენტიანი გარანტიით უწინასწარმეტყველოს მის პატრონს ახლო მომავალი. წვრილი ფეხები და დიდი მუცელი დიაბეტისკენ მიდრეკილების ნიშანია, რაც იმას მიუთითებს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ათეროსკლეროზი და, ამდენად, არსებობს ინფარქტის, ინსულტისა და ტრომბოზის საშიშროება. მამაკაცებში კი ამას ემატება სქესობრივი ჰორმონის ტესტესტერონის დონის დაწევა, რომელიც ესოდენ დიდ ენერგიასა და ცხოვრებით ტკბობის ხალისს ანიჭებს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს.

რაც უფრო მეტია წელისა და თეძოების გარშემოწერილობის შეფარდება, მით უარესია ეს ამ ტანის მფლობელისთვის. ისე, კაცმა რომ თქვას, სრულიად გაურკვეველია, თუ რატომ გახდა ბოლო დროს წელი მაინცდამაინც „ახალგაზრდობის პრივილეგია“? ჩვენ თავად შეგვიძლია დავადგინოთ ჩვენი ტანის ესოდენ მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომელიც, რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს, ჩვენი დღეგრძელობის ინდექსია.



წელის გარშემოწერილობა ყველაზე ვიწრო ადგილას (ეს ჩვეულებრივ, ჭიპის ოდნავ ზევით არის) უნდა დუნდულების მოცულობაზე გავყოთ. ოპტიმალური თანაფარდობაა 0,7 ქალებისთვის და 0,9 მამაკაცებისთვის.

არც ის იქნება ურიგო, საკუთარი ოპტიმალური წონაც რომ იცოდეთ. ამდენად, სხეულის მასის ინდექსი ტოლია წონა (კილოგრამების) გაყოფილი სიმაღლეზე (მეტრებით) და შემდეგ კვადრატში აყვანილი. ნორმად მიჩნეულია 19-25 პარამეტრის ინდექსი, თუმცა სადღეისოდ მრავალი გერონტოლოგი უმაღლესად 23,5 ინდექსს მიიჩნევს.

მამაკაცები მაშინვე გამოარჩევენ ხოლმე ქალებს, ვისაც წელისა და თეძოების სანუკვარი შეფარდება აქვთ, რაც ქალური მიმზიდველობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. XX საუკუნის სილამაზის ისეთ სხვადასხვანაირ ეტალონებს, როგორებიც არიან მერილინ მონრო და სოფი ლორენი, უწინ კიდევ ვენერა მილოსელი – თითოეულს ტანის ინდექსი დაახლოებით 0,7 ჰქონდა.

# ყავა გნებავთ?



ყავის სმა გულით დაავადებულთათვის რეკომენდებულია, აცხადებენ ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერები. მედიკოსები 30 წლის მანძილზე ინფარქტგადატანილ 1300 პაციენტს აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც დღეში ერთიდან სამ ფინჯან ყავამდე სვამდა, ინფარქტისგან სიკვდილის რისკი მესამედით უმცირდებათ, ხოლო იმათში, ვინც დღეში ხუთ-შვიდ ფინჯანს მიირთმევდა, ეს რისკი უნახევრდებოდა. ესეც თქვენი კარგი ახალი ამბავი, პატივცემულო ყავის ტრფიალებო!

# სურნელებით მკურნალნი

ეგვიპტელთა უმრავლესობა, თუკი ჯანმრთელობა შეერყა, თავდაპირველად ექიმს კი არა, იმ კაცს აკითხავს, რომლის პროფესიას აქ „ატარს“ უწოდებენ, რაც „სურნელებით მოვაჭრედ“ შეიძლება ვთარგმნოთ. ამ იშვიათი პროფესიის ადამიანები ბალახებით მკურნალობენ. ჟურნალ „კაირო თუდეის“ მონაცემებით, მარტო ეგვიპტის დედაქალაქში დაახლოებით 500 ატარია.



მათი პოპულარობის ახსნა ტრადიციების თაყვანისცემით შეიძლება – ბალახებით მკურნალობა ხომ თვით ეგვიპტეს ისტორიაზე უფრო ძველია. თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ატარების წამლები მრავალ სნეულებას შველის. მაგალითად, კუჭ-ნაწლავთა, თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებებს, დიაბეტს, ასთმას, რევმატიზმს,ართრიტს, ფსორიაზს, მრავალ სხვას.

ატარებს ღარიბებიც აკითხავენ და მდიდრებიც. მდიდრებს ნატურალური წამლები იზიდავთ, ღარიბებს კი, ყველა სიკეთესთან ერთად, მკურნალობის სიაფე. ატარები ერთდროულად თან ექიმები არიან, თან ფარმაცევტები, ამიტომაცაა, რომ მათთან მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომია.

# მჟავიანობის ნუ შეგეშინდებათ

კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობა თავის დროზე ერთობ აქტუალური საკითხი იყო, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ კუჭის წყლული სწორედ მომატებული მჟავიანობის მქონე ადამიანებს უჩნდებათ. თუმცა ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ კუჭის წვენის მჟავიანობის გამოვლენას აღარ აქცევენ დიდ ყურადღებას, ვინაიდან დაადგინეს, რომ კუჭის წყლული ნებისმიერი



მჟავიანობის მქონე ადამიანებს ემართებათ. რაც შეეხება თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ამ დროს ჩვეულებრივ აღინიშნება ჭარბი (იშვიათი – ნორმალური) კუჭის წვენის პროდუქციის მაჩვენებლები, ხოლო კუჭის ტანისა და სუბკარდიალური განყოფილების წყლულების დროს იგი ნორმალურია ანდა შემცირებული.

# „სახალისო“ ციფრები

ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტთა მტკიცებით, ჭარბმა წონამ და სიმსუქნემ ცხოვრება შეიძლება 15 წლით შეგიმოკლოთ, ხოლო ჩვენთვის ნათქვამს ექვსჯერ უფრო კარგად აღვიქვამთ, როცა ის არა



მარტო გვესმის, არამედ ტუჩების მოძრაობითაც ვკითხულობთ.

...კითხვაზე, ხედავთ თუ არა საშინელ სიზმრებს, 3016 კაციდან გამოკითხულთა 55 პროცენტმა უპასუხა „ზოგჯერ ვხედავ“, 28 პროცენტმა „ცხოვრებაში რამდენჯერმე მინახავს“, 11 პროცენტმა – „ვხედავ ძალიან ხშირად“, ხოლო 3-3 პროცენტმა უპასუხა, რომ „არა, არასდროს მინახავს“ და „სიზმრებს საერთოდ არ ვხედავ“.

# ქალაქის მტვერი უფრო „აგრესიულია“



ერთი შეხედვით, დიდი ქალაქი ალერგიით დაავადებულთათვის შველაა, რადგან ქალაქის ჰაერში სოფლის ჰაერთან შედარებით გაცილებით ნაკლებია აყვავებული ყვავილების მტვერი. მაგრამ ეს ასე არ არის ერთი უბრალო მიზეზით: ქალაქის მტვერი ჰაერიდან ჭუჭყს „იკრავს“ და ამიტომ უფრო აგრესიული ხდება, უფრო ადვილად აღწევს ლორწოვან გარსში. იაპონიაში შეადარეს, თუ რამდენად ხშირად ემართებათ პოლინოზი იმ ადამიანებს, ვინც ავტომაგისტრალების გასწვრივ ცხოვრობენ და ისინი, ვისი სახლებიც იაპონური კედარის ხეების გარემოცვაში ცხოვრობენ, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი ალერგენია. აღმოჩნდა, რომ ავტომაგისტრალების გასწვრივ გაცილებით მეტი ალერგენია, ვიდრე კედარის ტყეებში, თუმცა კედარის ყვავილის მტვერი იქ გაცილებით ნაკლებია.

**უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

საქმე №1/1087-08 წ.

# განჩინება

საქართველოს სახელით

## საჯარო შეტყობინების შესახებ

30 იანვარი, 2009 წელი — ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე — თამარ ჩიხლაძე**
**განხილვის ფორმა — ზეპირი მოსმენის გარეშე**
**მოსარჩელე — ნატო ხელაძე**
**მოპასუხე — მანანა ბალანჩივაძე**
**დავის საგანი — თანხის დაკისრება**
**განიხილა საჯარო შეტყობინების მეშვეობით მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების საკითხი.**

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში სამოქალაქო საქმე №2/1087-08 წ. ნატო ხელაძის სარჩელისა გამო მოპასუხე მანანა ბალანჩივაძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს სარჩელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და უკან დაბრუნდა წარწერით „ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებმა ქალბატონმა განმიცხადა, რომ მანანა ბალანჩივაძე აქ არ ცხოვრობს და არც არასოდეს უცხოვრია“.

2008 წლის 03 ივლისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარეს მოპასუხის მისამართის დასაზუსტებლად სსსკ 187.2 მუხლის საფუძველზე სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 10 (ათი) კალენდარული დღის ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე ნატო ხელაძის წარმომადგენელმა შორენა ჭავჭანიძემ განცხადებით მომართა სასამართლოს, განცხადებას თან დაურთო საინფორმაციო-სამისამართო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

დადგენილია, რომ მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად ასევე გაეგზავნა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საინფორმაციო-სამისამართო განყოფილების მიერ გაცემულ ცნობაში მითითებულ მისამართზე, — ქ. თბილისი, გლდანი, მე-5 მ/რაიონი, კორპუსი №19, ბინა №74, თუმცა არც აღნიშნულ მისამართზე ვერ ჩაბარდა მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები უკან დაბრუნდა წარწერით „ყავისფერ კრემისფერში დაზოლილ რკინის კარით, ვიყავი ორჯერ, დავტოვე შეტყ. არ დამიკავშირდა“. ამის შემდგომ, მოსარჩელემ სასამართლო დამტარებლის მეშვეობით უზრუნველყო სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების მოპასუხე მხარეზე ჩაბარება, თუმცა სასამართლო დამტარებლის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ „აღნიშნულ მისამართზე დახვდა ქალბატონი, რომელმაც განუცხადა, რომ აღნიშნულ ბინაში ცხოვრობენ მერკვილაძეები და საერთოდ არ იცის ვინაა ადრესატი — მანანა ბალანჩივაძე“.

2009 წლის 28 იანვარს მოსარჩელე ნატო ხელაძის წარმომადგენელმა შორენა ჭავჭანიძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და იმის გათვალისწინებით ვინაიდან არც ამჯერად ვერ ჩაბარდა მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე მანანა ბალანჩივაძის ადგილსამყოფელი უცნობია, მას სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. მოპასუხეს — მანანა ბალანჩივაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/1087-08 წ. ნატო ხელაძის სარჩელის გამო მოპასუხე მანანა ბალანჩივაძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

**სარჩელის მოთხოვნები:** მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს მოსარჩელე ნატო ხელაძის სასარგებლოდ დაეკისროს 950 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა, სახელმწიფო ბაჟის — 100 ლარის და ადვოკატის ხარჯის — 300 ლარის გადახდა.

**სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:** 2007 წლის იანვარში მოსარჩელე ნატო ხელაძემ საგაზეთო რეკლამის მეშვეობით გაიცნო მოპასუხე მანანა ბალანჩივაძე, რომელსაც უნდა მიეყიდა ნატო ხელაძისთვის სააგარაკო სახლი, მდებარე დაბა ვაზიანში. სახლის ნახვის შემდეგ ნატო ხელაძემ გადასცა მანანა ბალანჩივაძეს 1000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი 500 აშშ დოლარი უნდა გადაეცა მეორე დღეს სახლის საბუთების წარმოდგენის შემდეგ. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მის მიერ სახლის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ნატო ხელაძემ უკან გამოართვა გადაცემული თანხა 1000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ მათ შორის გაგრძელდა ჩვეულებრივი კარგი ნაცნობობა, ნატო ხელაძემ მას გადასცა სესხად 1000 აშშ დოლარი, თანხის დაბრუნების დრო უსაშველოდ გაიწელა, მანანა ბალანჩივაძე ტელეფონზეც კი არ პასუხობდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნატო ხელაძემ 2007 წლის მაისის თვეში მიაკვლია მანანა ბალანჩივაძეს ახლად ნაქირავებ ბინაში ალმაშენებლის გამზირზე. რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ მოპასუხემ მისცა 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი და იმ მოტივით, რომ მალე ელოდებოდა ფულს, — მანანა ბალანჩივაძემ დაწერა ხელწერილი, რომ 2007 წლის 08 ივნისს დაუბრუნებდა მთლიან 950 აშშ დოლარს, აღნიშნული ხელწერილი ხელმოწერით დაადასტურეს მისმა შვილებმაც. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან **14 დღის** ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებულ იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოთს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია, თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$ მუხლის შესაბამისად მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასარჩელო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკაში“.

4. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე: თ. ჩიხლაძე**

---

**ხსოვნა გულისა**

## 7 აპრილი ტარიელ ვარდანაშვილის დაბადების დღეა



მართლაც ტარიელი იყო, რუსთაველური გმირი, რუსთაველური ტარიელი თავისი ქართული რაინდული ბუნებით, შემართებით, ვაჟკაცობით, ერთგულებით, მეგობრობით, სიყვარულით.

ეს იყო კაცი იმედი, კაცი დღესასწაული, რომელიც მუდამ თან გვახლდა მის ახლობელ ადამიანებს, მის მეგობარსა და ამხანაგებს, რომელთაც წლეულს კიდევ ერთხელ უიმისოდ გვიხდება მისი დაბადების დღის აღნიშვნა.

სანამ თუნდაც ერთი ჩვენგანი ივლის ამ ცისქვეშეთში, შენ ჩვენთან ერთად იქნები, ძვირფასო ტარიელ! ასე რომ ჩვენთან ერთად, შენს საყვარელ შთამომავლებთან ერთად იცოცხლებ და დავიწყების ბალახი ვერ გადაუვლის შენს ხსოვნას.

შენი ერთგული ახლობლები, მეგობრები

---

ალეკო, ეთერ, ნინო კაკულიები თანაუგრძნობენ კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილს ძვირფასი დედის, სასოფლო მშენებლობის ყოფილი სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკის

ნუნუ ტატიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის 1975 წლის კურსდამთავრებულები სამძიმარს უცხადებენ ვანო ჭოლაძესა და მის ოჯახის წევრებს დედის

ნაზი სულაშვილი-ჭოლაძის

გარდაცვალების გამო.

---

ემილ მიქაია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვანო ჭოლაძესა და მის ოჯახს დედის

ნაზი სულაშვილი-ჭოლაძის

გარდაცვალების გამო.

---

პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია და მისი გამგეობის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული პედიატრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქალბატონი

მერი წულუკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები ელენე მანჯგალაძე, დოდო ბაკურაძე, ირაკლი ციციშვილი, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, რევაზ ლაბაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნების, ღირსეული მოქალაქის, პედიატრიული დარგის ღვაწლმოსილი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

მერი წულუკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გულნარა ქავთარია, ლალი მარუაშვილი, ეკა მელიქიძე, შალვა, გიორგი, მარიამ მშვილდაძეები, ლულუ მენთეშაშვილი, ქეთევან რამიშვილი, მიხეილ, პაატა, მარიამ, ზაზა ქავთარაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კარლო მარუაშვილი

დაკრძალვა 9 IV, 14 სთ. მისამართი: ქ. ხაშური, დადიანის ქ. №9.

---

ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-გინეკოლოგი

ნატა გუგუშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**ინფორმაცია**

## ჯერ სცემეს, მერე ხევში გადააგდეს

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბადრი ბიწაძის არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელს კახა ხატელიშვილს კვირას გვიან ღამით ათამდე ნიღბიანი დაესხა თავს და ფიზიკურად გაუსწორდა.**

თავდამსხმელებმა ხატელიშვილს ფული მოსთხოვეს. ხატელიშვილის განცხადებით, მას ფული არ ჰქონდა, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა ის მანქანით წაიყვანეს და გაურკვეველ ადგილას ხრამში ჩააგდეს.

ხატელიშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის ნინო ბურჯანაძემ და სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მოინახულა.

ნინო ბურჯანაძე მომხდარს 9 აპრილს უკავშირებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება აგრძელებს ოპოზიციური პარტიების დაშინებას.

ეს ხელისუფლება ვერასოდეს ადამიანურ სახეს ვერ მიიღებს და ამ ხელისუფლებას არ აქვს მორალური უფლება, გააგრძელოს ქვეყნის მართვა. ძალიან სამწუხაროა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პოლიტიკურ ელიტას, მე ამ შემთხვევაში სპეცნაზის თანამშრომლებს ვგულისხმობ, რომლებიც ასრულებენ უკანონო ბრძანებებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სულიერება

# ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა



7 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარებას დღესასწაულობს.

ეკლესიური მოძღვრებით, ხარება ღვთისმშობლისა არ იყო მხოლოდ წმინდა ქალწულის კუთვნილება, რადგან ამ დღეს გაბრიელ მთავარანგელოზის პირით, მარტო წმინდა მარიამს კი არა, მთელ კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავისი კაცთმოყვარეობით ინება ცოდვის მონობაში მყოფი კაცობრიობის გამოხსნა, რომლის შემდეგაც ადამიანებს დაკარგულ სამოთხეში, ანუ ზეციურ სასუფეველში დაბრუნების გზა და საშუალება მიეცემოდათ. ე. ი. ხარებით იწყება ღმერთთან თანაცხოვრების, მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვების შესაძლებლობა, რომელსაც ადამიანთა მოდგმა პირველმშობელთა ცოდვით დაცემის შემდეგ მოკლებული იყო.

სახარებიდან ცნობილია, რომ ქალწულობის აღთქმადადებული წმინდა მარიამი მხოლოდ მას შემდეგ განაცხადებს თანხმობას მთავარანგელოზისგან მიღებულ სასიხარულო უწყებაზე, რაც კეთილგონივრულად და არა ურწმუნოების გამო გამოიკითხავს, თუ რა გზით მოხდება კაცთა გონებისთვის მიუწვდომელი ეს უდიდესი საიდუმლო – უმამაკაცოდ შობა... „სული წმიდაი მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისაი გფარვიდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“, – მიუგებს მთავარანგელოზი.

...ხარება უფლის ხორცშესხმის მისი განკაცების დღესასწაულიცაა.

**გილოცავთ დღესასწაულს!**

**გიული ლიპარტია**

◉ გვწერენ

# დიდი მადლობა, ძვირფასო მკურნალებო!

**პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით გულწრფელი მადლობა გადავუხადო ადამიანებს, რომლებიც მარტო პროფესიით კი არა, შინაგანი მოწოდებითაც არიან ჭეშმარიტი მკურნალები.**

ამ ცოტა ხნის წინათ ანგიოკარდიოლოგიურ კლინიკაში მოვხვდი საკმაოდ მძიმე დიაგნოზით – გულის იშემიური დაავადება, გულის მწვავე უკმარისობა, ბრონქოპნევმონია შაქრიანი დიაბეტის ფონზე.

ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს ჩემი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო მთელ მედპერსონალს – ჩემს მკურნალ ექიმს ზურაბ ოკუჯავას, რომელმაც სითბო და ყურადღება არ დამაკლო, ასევე განყოფილების გამგეს სოსო სიხარულიძეს, ექიმს – მარიკა კუთხაშვილს და მთელ მედპერსონალს. მადლობას მოვახსენებ კლინიკის ხელმძღვანელს მერაბ მამაცაშვილს. მთელი გულით ვუსურვებ ყველას წარმატებებს და ბედნიერებას ოჯახებთან ერთად.

ულრმესი მადლობა, ჩემო საყვარელო ადამიანებო!

**ევგენია (ჟენია) სილაგაძე,**
**აფხაზეთიდან დევნილი.**

◉ მილოცვა

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის აქტიურ ავტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს რევაზ ტყემალაძეს ულოცავს შვილთაშვილის, პატარა გიორგის შეძენას და უსურვებს თავისუფალ, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.**

◉ ინფორმაცია

## ოქიტაშვილს თავს დაესხნენ

**კვირას საკუთარ სახლთან სცემეს კულტურის სამინისტროს ლონისძიებათა დეპარტამენტის უფროსი დავით ოქიტაშვილი.**

შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. დავით ოქიტაშვილი ავტოფარეხში საკუთარ მანქანას აყენებდა და მას ორი უცნობი პირი დაესხა თავს. ფიზიკური ანგარიშსწორების ერთ-ერთ მიზეზად ყაჩაღობის მცდელობა განიხილება.

ХО-ЭОВ-ЭНО

◉ ასოციაციები

# ტრაგედიად ქცეული კომედია

**საბავშვო-სათავგადასავლო მოთხრობიდან მახსოვს: ონავარი ბიჭის მშობელი სკოლაში დაიბარეს. ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ უცნობს სთხოვა ბიჭმა გაჰყოლოდა სკოლაში მშობლის მაგივრად. ფრიად უხერხულ დღეში ჩავარდა „გამოგონილი“ მშობელი; არც იხტიბარს იტეხდა...**

„კავკასიის“ დებატებში გოგა ხაჩიძე და კობა დავითაშვილი ისხდნენ პირისპირ (2. 04. 2009წ. „მიშა მაგარიას“ ავტორი მინისტრი იმ „გამოგონილი მშობლის“ როლში აღმოჩნდა: არ იცოდა, ვის ექომაგებოდა; რას ექომაგებოდა; რატომ ექომაგებოდა... არ იცოდა, რა ეპასუხა და ცდილობდა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა... იმ ოხერმა დავითაშვილმაც არ შეიცოდა ოპონენტი და შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდა...

ამ ორ ამბავს შორის მსგავსება კია, მაგრამ განსხვავებაა დიდი: **„გამოგონილი მშობელი“ კომედიის თემაა, „გამოგონილი პოლიტიკოსი – ტრაგედიისა...**

# ვაი ჩვენი ცოდვა!



**ივანე ჯავახიშვილი წერს: იანოვსკიზე დიდი მტერი ქართულ ენას არ ჰყოლიაო.** იანოვსკი XIX საუკუნის ბოლოს იყო კავკასიაში მზრუნველი განათლების დარგში. მან გამოაქვეყნა გეგმა სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო ქართული განათლების სისტემის განადგურების, ქართული ენის დათრგუნვის პროგრამა... ამის გამო მისცა ივანე ჯავახიშვილმა ასეთი შეფასება... იანოვსკის ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა უპასუხეს; იაკობს პირადი შეხვედრებიც ჰქონდა იანოვსკისთან... ეს გრძელი თემაა; მოდით, მოკლედ მოვჭრათ: იანოვსკიმ, და შესაბამისად რუსეთის იმპერიამ, უკან დაიხია...

უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო, მეცნიერებათა აკადემია, განათლებული და წიგნიერი საქართველო რამდენიმე წელი უმტკიცებდა ლომაიას და მის ბანდას (ხუბუასნაირებსძ, იღუპება ქართული განათლება და მეცნიერებაო, მაგრამ... იანოვსკი და რუსეთის იმპერია გაცილებით უფრო შეგნებით მოეკიდა ქვეყნის ინტერესებს...

ვაი ჩვენი ცოდვა: იანოვსკი სანატრელი გაგვიხდა ლომაიას (და მისნაირებისძ შემყურეს...

# მწარე კიტრი ბოლომდე რატომ ვჭამოთ?

**გვეუბნებიან, თქვენ არ იდექით ნოემბერში მის გვერდით? თქვენ არ აირჩიეთ, ახლა რომ ყვირით, წადიო?!**

მართალი ხარ, მაგრამ გახსოვთ ქუთაისელმა რა თქვა? – კიტრს რომ ვიყიდი ბაზარში და მწარე გამოდგება, ბოლომდე კი არ ვჭამ, გადავაგდებო...

**არაა სიამოვნება მწარე კიტრის ბოლომდე ჭამა და არც აუცილებლობა...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

◉ გასწორება

**ჩვენი გაზეთის 4 აპრილის ნომრის მე-15 გვერდის მარჯვენა სვეტის თავში, ინფორმაციის სვეტში, სათაურში დასანანი შეცდომაა. სათაური „იზრდება დაღუპულთა რიცხვის“ მაგივრად უნდა ეწეროს „იზრდება დაზღვეულთა რიცხვი“, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– მართლა უწყობს ხელს კომბოსტო მკერდის გადიდებას?

– კი, თუ ორ თავს ბიუსჰალტერში ჩაიდებ...

* * *

ფსიქიატრიულის ექიმი კროსვორდს ხსნის:

– მაშ ასე... კუნძული, სადაც ნაპოლეონი დაიბადა...

იფიქრა, იფიქრა და პაციენტს მიუტრიალდა:

– ეი, შენ ჭკუის კოლოფო – მითხარი შენი დაბადების ადგილი.



აი, როდესაც პრეზიდენტი გამოაცხადებს, კორუფცია დავამარცხეთო, მაშინ მივატოვებ ქრთამის აღებას.

* * *

– ექიმო, ესე იგი, ვიცხოვრებ?

– კი, მაგრამ არ გირჩევ.

* * *

– ახლა მაინც, როცა დავქორწინდით, ალალად მითხარი, საყვარელო, სულ რამდენი მამაკაცი გყავდა?

– მპირდები, რომ არ გამიბრაზდები?

– გპირდები!

– მაშინ გეტყვი, შვიდი!

– მეშვიდე მე ვარ?

– არა, მეოთხე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.